ატიპური პნევმონია საქართველოში - რეალური საფრთხე A2

"ხალხის პირისპირ" A6

TV პროგრამა A7

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

კვირა, 4 მაისი, 2003 წელი. №120 (332)

ფასი 50 თეთრი

კომპრომისი მაინც შედგა

ხელისუფლება დათმობაზე წავიდა

თამარ მჭედლიშვილი

გუშინ "მრეწველთა" ოფისში გამართულ სამსაათიან დახურულ კონსულტაციებზე, საკმაოდ პესიმისტური პროგნოზის მიუხედავად, პოლიტიკურმა სპექტრმა გარკვეულ კომპრომისს მაინც მიაღწია. სახელისუფლებო ძალებმა ყურად იღეს ოპოზიციის დაჟინებული მოთხოვნა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების პარიტეტულ წესს დათანხმდნენ. პოლიტიკოსთა თქმით, უმთავრესი პრინციპული შეთანხმება უკვე მიღწეულია: სახელისუფლებო ძალები უარს ამბობენ ცესკო-ს დაკომპლექტების იმ მოდელზე, რომელიც კომისიის 11 წევრით დაკომპლექტებას გულისხმობს და რომელთაგანაც ცხრას პრეზიდენტი წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ასეთი წარმომადგენლობითი შეხვედრა საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით დიდი ხანია, არ გამართულა. მართალია, პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფი, ოპოზიციური პარტიები და სახელისუფლებო ძალები ცალ-ცალკე იკრიბებოდნენ, მაგრამ მათი ერთ მაგიდასთან შეკრება დროში საკმაოდ გაჭიანურდა.

"მრეწველთა" ინიციატივით გამართულ გუშინდელ შეხვედრაზე, როგორც იქნა, ნავსი გატყდა: პარტიების ლიდერთა გარდა, კონსულტაციებს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე და სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძეც დაესწრნენ.

გაგრძელება A2 გვერდზე

შეხვედრის ინიციატორი გოგი თოფაძე და პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე კონსულტაციებით კმაყოფილები არიან.

ირაკლი ლეონიძისა ფოტო

ბიუჯეტში პანკისის ოპერაციების დასაფინანსებელი ფული ვერ მოიძებნა

საქართველოში "წყლები უკვე დაიძრა" და რუსეთის საზღვრის, უფრო სწორად – პანკისის თემა კიდევ ერთხელ გახდა განსაკუთრებით აქტუალური. მით უფრო, როგორც აღმოჩნდა, "პანკისური ოპერაციების" შემდგომი ეტაპების ჩატარება, შესაძლოა, დაფინანსების არარსებობის გამო საერთოდ ჩაიშალოს.

"აუცილებელი დაფინანსების არარსებობის გამო პანკისის ხეობაში ანტიკრიმინალური ოპერაციის მეორე ფაზისა და სახელმწიფო საზღვრის ჩრდილოეთი მონაკვეთის გამაგრების ღონისძიების ჩატარება საეჭვო ხდება." ამის შესახებ ჟურნალისტებს განუცხადა საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანმა თედო ჯაფარიძემ მას შემდეგ, რაც უშიშროების საბჭოს მდივანთან საგანგებო თათბირი დასრულდა.

თედო ჯაფარიძე აცხადებს, რომ ფინანსთა სამინისტრო აჭიანურებს ოპერაციის დაფინანსებას და მისი ჩატარებისათვის საჭირო თანხების ოდენობა 7 მილიონი ლარით შეამცირა.

"გაზაფხულ-ზაფხულის სეზონის დაწყებისთანავე საზღვრის ამ მონაკვეთის დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რუსეთის მოსაზღვრე ტერიტორიიდან კრიმინალური ელემენტების გადმოსვლის თვალსაზრისით," - აღნიშნა უშიშროების საბჭოს მდივანმა.

მან ხაზი გაუსვა, რომ აუცილებელია აღებული ტემპის შენარჩუნება, "ვინაიდან ეუთო-სა და ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციებმა დაადასტურეს პანკისის ხეობაში ბოევიკების არყოფნა და განაცხადეს, რომ იქიდან საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხე არ მომდინარეობს," - დასძინა მან.

გაგრძელება A2 გვერდზე

უცხოეთი

კოლინ პაუელმა სირიაში მოლაპარაკებები დაიწყო

შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი სირიის პრეზიდენტს ალ-ასადს შეხვდა და სირიისაგან მოითხოვა ისრაელის წინააღმდეგ მოქმედი ტერორისტული ორგანიზაციებისათვის დახმარების შეწყვეტა.

A3

სპორტი

საფეხბურთო ჟრიამული „ფოქს კიდსთან„ ერთად

რამდენიმე დღეა, თბილისის უბნებიდან გოგო-ბიჭების ჟივილ-ხივილი, ჟრიამული და ყიჟინა ისმის. რამდენიმე დღეა, საქართველოს სხვადასხვა რეგიონშიც ანალოგიური სურათია.

A6

ამინდი

თბილისი	24
ქუთაისი	28
ბათუმი	24
სოხუმი	25
ფოთი	25
თელავი	23
ზუგდიდი	28
გორი	22
ახმეტა	23
ჭიათურა	26
გაგრა	24
სამტრედია	27

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1650
ევრო	2.4293
გირვანქა სტერლინგი	3.4835
რუბლი	0.0696

"კმარა!" - ატიპური პნევმონიის ვირუსი

საქართველოს ხელისუფლების მხარდამჭერთათვის

ძნელად საფიქრებელი იყო, რომ საქართველოს ხელისუფლებას რამე შეაშინებდა და შეაშფოთებდა. მან ხომ "ვაჟკაცურად" გაუძლო და მოინელა მრავალი განსაცდელი: ტერიტორიული მთლიანობის რღვევა, ეკონომიკური კოლაფსი, კრიმინალური სამყაროს მომძლავრება, კორუფციის აყვავება, სოციალური უთანასწორობის გაღრმავება... ყოველივე ამას ქვეყნის ხელმძღვანელობა დღემდე უდრტვინველად, ოლიმპიური სიმშვიდით უყურებდა და უყურებს. მაგრამ, როგორც ირკვევა, საქართველოს ხელისუფლება სულაც არ ყოფილა "უშიშარი, ვითარცა უხორცო". პანიკაში მის ჩასაგდებად და ასაცახცახებლად ერთი საკმაოდ უწყინარი სიტყვაც კი საკმარისი აღმოჩნდა. "კმარა!" - სახელისუფლებო ბანაკის წარმომადგენლებს ამ სიტყვისა დღეს ისევე ეშინიათ, როგორც ჩინელებს ატიპური პნევმონიის ვირუსისა.

გიორგი ასანიშვილი

გამონაკლისი არც სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე ვახტანგ რჩეულიშვილია. "კმარა!" მასაც აცოფებს და აღიზიანებს, რადგან "კმარისტები", მისი აზრით, მეტად საშიში და ვერაგი ხალხია.

"კმარა!" არის რეპეტიცია არჩევნების დროს გადატრიალების მოსაწყობად. მისი ორგანიზატორები წინასწარ ამზადებენ იუგოსლავიურ სცენარს და გამოცდილების მისაღებად იქ (იუგოსლავიაში) სტუდენტებსაც კი აგზავნიან," - ოპოზიციის მგლობით აშინებს ვახტანგ რჩეულიშვილი თავის "წითელქუდებს". მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში გუშინ გამართულ ახალგაზრდა სოციალისტთა კავშირის IV კონგრესის მონაწილენიც ყურადღებით უსმენდნენ უფროს პარტიულ "ამხანაგს".

რჩეულიშვილი აპირებს, ბოლომდე ერთგულად იდგეს ახალგაზრდა კოლეგების "უმანკოების" სადარაჯოზე. მართლაც, "კმარას" "მავნე რევოლუციურ იდეოლოგიას" რომ თავი დავანებოთ, ოპოზიციის მიერ "შეცდენილი" ახალგაზრდობა, თურმე, მორალური და ზნეობრივი თვალსაზრისითაც ყოფილა საშიში.

"მათ, ვინც "კმარას" იძახის, ოჯახები არა აქვთ, ჩვენ კი გოიმეობად მივაჩნივართ, რადგან განსხვავებულ სექსუალურ ორიენტაციას არ მივეკუთვნებით," - დასავლეთის მიერ გახრწნილი სტუდენტებისთვის ფარდის ბოლომდე ახდას აპირებდა სოციალისტური პარტიის ბაირახტარი, მაგრამ თავადვე მიხვდა, რომ ასე ღრმად შეტოპვაც არ შეიძლებოდა.

"ყველას როდი ვაბრალებ ჰომოსექსუალისტობას; იმის თქმა უფრო მინდა, რომ ისინი ასეთ იდეოლოგიას გვახვევენ თავს," - "ბურჟუაზიული პროდუქტის" შედარებით მსუბუქი კრიტიკით კმაყოფილდება არც თუ შორეულ წარსულში საბჭოური ცხოვრების წესის მხურვალე პროპაგანდისტი. მას ისიც კარგად მოეხსენება, რომ "ხელიდან წასულ ახალგაზრდებს" ჟვანია-საკაშვილის გუნდი უკვეთავს მუსიკას და გაბრიყვებული სტუდენტობაც "კმარას" მათი მოთხოვნით გაიძახის.

გაგრძელება A2 გვერდზე

შიდა ქართლში სიტუაცია დაიძაბა

ინგა ალავიძე

შიდა ქართლში ძალოვანთა მობილიზაცია გამოცხადდა. უშიშროების სამინისტროსა და პოლიციის ადგილობრივი ქვედანაყოფები განსაკუთრებულ რეჟიმზე გადავიდნენ. ცხინვალის რაიონის სოფელ თამარაშენში გუშინ ჩავიდნენ ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირებაში საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენელი ირაკლი მაჭავარიანი, შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებული დავით კობიანიძე და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ზურაბ ხაჟალია.

სოფელ თამარაშენში მორიგი შეიარაღებული თავდასხმა მოხდა. თავდასხმა მინდიაშვილების ოჯახზე განხორციელდა და მოკლულია ოთხი ადამიანი.

გუშინ, დღის 12 საათზე, სოფელ თამარაშენში მდებარე ბენზინგასამართ სადგურზე დაუდგენელი პირები თავს დაესხნენ ბენზინგასამართი სადგურის მეპატრონეს სიმონ მინდიაშვილს. ბენზინგასამართ სადგურზე გაჩერებული თეთრი ფერის "ნივის" მარკის მანქანიდან სამხედროფორმიანი, ნიღბებით სახედაფარული, ავტომატებით შეიარაღებული 2 მამაკაცი გადმოვიდა და იქვე მდგარ სიმონ მინდიაშვილს ცეცხლი გაუხსნა. თავდასხმის მომენტში ბენზინგასამართ სადგურზე იმყოფებოდნენ მინდიაშვილის ვაჟიშვილები. ქილერებმა სადგურის მფლობელის სამივე ვაჟიშვილიც მოკლეს. მამა-შვილი მინდიაშვილები ადგილზევე გარდაიცვალნენ. არსებული ინფორმაციით, თავდამსხმელები ჯავის მიმართულებით მიიმალნენ.

სამართალდამცველებისთვის, ჯერჯერობით, უცნობია მკვლელობის მოტივი და მკვლელთა ვინაობა.

გაგრძელება A2 გვერდზე

მეორედ Fashion TV-თვის

ვერა ნეფარიძე

პარასკევს "ბარნოვზე" დიდი მხიარულება იყო. ვაკეში შუაღამემდე ისმოდა დაფდაფების თქარუნი; თვითონ "ჯაზ-სოულ კლუბში" კი მის რითმებზე მოცეკვავე მოდელები, დიზაინერები და, უბრალოდ, სტუმრები ირეოდნენ. ასეთი იყო Etere PR სააგენტოს ორგანიზებული რიგით მეორე წვეულება, რომელსაც Fashion TV ორი თვის განმავლობაში საკუთარ ეთერში დაატრიალებს.

V.I.P. სტუმრების გამოჩენამდე

თბილისში ftv-ის ეგიდით მეორე "ფართი" "ჯაზ-სოულ კლუბში" ორი მაისისთვის დაიგეგმა. პირველი მცდელობა, ახალი წლის ღამეს რესტორან "ბერიკონში" საკმაოდ წარმატებული გამოდგა – მის ორგანიზატორს, ნინო იოსელიანსა და სააგენტოს

გაგრძელება A5 გვერდზე

თბილისური FTV-ს მონაწილეები.

ბესო ბაბუაჯანიძის ფოტო

ბიუჯეტში პანკისის ოპერაციების დასაფინანსებელი ფული ვერ მოიძებნა

პირველი გვერდიდან

საინტერესოა, რომ პანკისის ოპერაციის დაფინანსების შეზღუდვის თემა პირველად საერთაშორისო სავალუტო ფონდის იმ მემორანდუმში იყო გათვალისწინებული, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას სავალდებულო რეკომენდაციების სახით დაუტოვა და რომელშიც აღნიშნული გახლდათ, რომ ხარჯების შემცირება უშუალოდ უნდა შეეხოს მთელ რიგ ხარჯვით მუხლებს და მათ შორის: "გადაიდოს 12,5 მილიონის ასიგნებების დაფინანსება და არ დაიშვას დამატებითი 7 მილიონის გამოყოფა პანკისში შესაძლო ოპერაციების დასაფინანსებლად."

მაშინ საქართველოს ხელისუფლება შეეცადა, საგანგებოდ არ გაემახვილებინა ყურადღება ამ მუხლზე თუნდაც იმიტომ, რომ ეს რეკომენდაცია ბიუჯეტის გარღვევის გამო ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხს კიდევ უფრო მწვავე სახეს აძლევდა; მეტიც - კვარტლის შედეგებზე საუბრისას ხელისუფლება თავდაპირველად შეეცადა, საერთოდ არ ელიარებინა გარღვევის არსებობა.

თუმცა, ცხადია, რომ ბიუჯეტი გაირღვა და სსფ-ს რეკომენდაცია ფინანსთა სამინისტრომ, მართალია, არა ოფიციალური სეკვესტრირების სახით, მაგრამ მაინც შეასრულა.

დღეს ცხადი ხდება, რომ დაფინანსების არარსებობა უკვე საქართველოს უშიშროებისთვის, მართლაც, სასიცოცხლო საკითხებს ეხება; საკითხებს, რომელმაც გასულ წელს საქართველო მეზობელ რუსეთთან ახალ კოფლიქტში კინაღამ ჩაითრია.

დაბოლოს – მიუხედავად ფინანსური პრობლემებისა, გუშინ უშიშროების საბჭოს მდივანი იმ სპეციალურ გეგმაზე საუბრობდა, რომელიც საბჭოში შემუშავდა გამოზაფხულებასთან დაკავშირებით და რომელიც ექსცესების თავიდან აცილების გარანტია გახდება. გეგმა, სასაზღვრო ძალებთან ერთად, შინაგან საქმეთა, თავდაცვისა და უშიშროების სამინისტროების კოორდინირებულ მუშაობას ითვალისწინებს.

"24 საათი"

„ნაციონალები" ბლოკადის მოხსნას მოითხოვენ

"ნაციონალური მოძრაობა" პრეზიდენტ შევარდნაძეს თბილისის ბლოკადაში ადანაშაულებს. "ნაციონალების" განცხადებით, დედაქალაქის ბლოკადა გამოიხატება ბუნებრივი აირის შეწყვეტასა და ელექტროენერგიის მოსალოდნელ გათიშვაში. გუშინ საკრებულოს და "ნაციონალური მოძრაობის" წევრმა გიორგი არველაძემ საგანგებო პრესკონფერენცია მოაწყო.

გიორგი არველაძე ირწმუნება, რომ ხელისუფლებამ სააქციო საზოგადოება "თბილგაზის" და "ეი-ი-ეს თელასის" საბანკო ანგარიშებს ყადაღა მიზანმიმართულად დაადო. არველაძე ვარაუდობს, რომ ამ ფულით სახელისუფლებო პარტიის წინასაარჩევნო კამპანია და პროგრამები დაფინანსდება.

"ნაციონალები" პრეზიდენტს სიტუაციის გამოსასწორებლად უმოკლეს ვადას აძლევენ; წინააღმდეგ შემთხვევაში, "ჩვენ პასუხს გავცემთ ხელისუფლებას არა მარტო საკრებულოდან, არამედ თითოეული ჩვენი უბნიდან და ქუჩიდან", - იმუქრება გიორგი არველაძე.

"24 საათი"

"ქმარა!" - ატიპური პნევმონიის ვირუსი

პირველი გვერდიდან

ამიტომ, როგორც ნამდვილ პროფესიონალს შეჰფერის, ვახტანგ რჩეულიშვილიც "ავადმყოფობის" ("კმარული პნევმონიის") მიზეზთან აპირებს ბრძოლას და არა შედეგთან: "ბავშვებს" არაფერს ერჩის, "ცუდ გზაზე" მათ დამყენებლებს კი ქოქოლას აყრის.

"ესენი არიან უსაქმურები, უცოდინრები, პოლიტიკურად გახრწნილები, ავადმყოფი ხალხი, ავადმყოფური ფსიქოლოგიით," - აქაოდა, ოპოზიციონერთა ასეთი დახასიათებით ჩემები ძალიან არ შევაშინოო, სოციალისტთუხუცესი ყრმობის ასაკში მყოფ სოციალისტებს იქვე იმით ამშვიდებს, რომ **"იმათ ბოგინს არ დაუშვებს და პოლიტიკიდან იმ ხალხის წასვლის დრო უკვე მოვიდა."**

ჟვანია-სააკაშვილის მიმართ რჩეულიშვილის უკომპრომისობის დამადასტურებელია ისიც, რომ მათთან ბრძოლის დროს სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე მზად არის, ღვთის ცნებებს გადაუხვიოს. **"ქრისტიანი კი ვარ, მაგრამ ჩემი ქრისტიანობა იქამდე არ მიდის, რომ როდესაც ერთ ლოყაში გამარტყამენ, მეორე მივუშვირო,"** - როგორც ჩანს, რჩეულიშვილის რელიგიურობაც მერკანტილურია: ბიბლიაში ის მოსწონს, რაც მისთვის სარგებლის მომტანია. მისთვის უფრო მისაღებია ისეთი "ადამიანური" პრინციპი, როგორიც არის, მაგალითად - "ხელი ხელს ჰბანს".

"რეფორმატორები პირდაპირ პარლამენტის დერეფნებში იღებდნენ ქრთამს (!). **ჩვენ ვაძლევდით, ისინი კი იღებდნენ,"** - ძველი უმრავლესობის ძალადობის მსხვერპლად მოაქვს თავი რჩეულიშვილს; თუმცა, ნორმალურ საზოგადოებაში ქრთამის აღება ისეთივე ცოდვაა, როგორც მისი მიცემა.

სიტყვა, რომელმაც რჩეულიშვილი აიძულა, ენის უძვლობა წარმოეჩინა.

ირინე ლეონიდაძის - ფოტო

სოციალისტური პარტიის ლიდერი დიდი გულმოდგინებით ებრძვის ოპოზიციის "საყრდენსაც" - ცესკო-სა და პროკურატურას.

"ვისი ბანდიტებით არის დაკომპლექტებული ცენტრალური საარჩევნო კომისია? ვისი და ოპოზიციის!", - მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში საკუთარ თავს ჩაუტარა ტესტირება რჩეულიშვილმა, რომელსაც არც იმის ხაზგასმა დავიწყებია, რომ **"ოპოზიციას პროკურატურის დახმარებით უნდა არჩევნების მოგება."**

გუშინ თავისი ახალგაზრდა თანამებრძოლების დამოძღვრა კი სოციალისტების წინამძღოლმა იმით დაიწყო, თუ რა მძიმე ჭაპანს ეწევა პირადად თვითონ. **"ძალიან ძნელია პოლიტიკაში საქმიანობა. ეს ყველაზე ბინძური სფეროა. ასეა ყველგან, სადაც კონკურენციაა,"** - რაღაც საეჭვო პოლიტიკური თეორია შესთავაზა ახალგაზრდა სოციალისტებს პოლიტოლოგმა რჩეულიშვილმა. არადა, აქამდე მათ ასწავლიდნენ, რომ კონკურენცია სიბინძურე კი არა, საზოგადოების პროგრესის მამოძრავებელი ძალაა. თუმცა, რჩეულიშვილს რას ვერჩით, თავის დროზე მას ასე ასწავლეს: "კონკურენცია კაპიტალისტური გადმონაშთია და ის სოცშეჯიბრებით უნდა შეიცვალოს". ძველი ცოდნა რჩეულიშვილს ახალგაზრდა სოციალისტების ჭკუის დარიგების დროსაც გამოადგა: "სწავლა, სწავლა და სწავლა," - გაისმა დარბაზში, ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ ტრიბუნასთან ილიჩი კი არა, შალვოვიჩი იდგა.

სოციალიტური პარტიის თავმჯდომარემ გუშინდელ თავყრილობაზე ახალგაზრდებს ერთი ნოვაციაც შესთავაზა. მან ილიასეული "ენა, მამული, სარწმუნოება" ასეთი მოდერნიზებული ფორმით წარმოადგინა - "ოჯახი, მამული, სარწმუნოება" (საინტერესოა, ენამ რაღა დაუშავა?). როგორც ჩანს, ხელისუფლებასთან სიახლოვე ადამიანს მანამდე დაფარული შესაძლებლობების გახსნაში ეხმარება.

ატიპური პნევმონია საქართველოში - რეალური საფრთხე

მაია მოსიაშვილი

ატიპური პნევმონიის აზერბაიჯანში დაფიქსირების თაობაზე გავრცელებულ ინფორმაციას საქართველოში პანიკით შეხვდნენ, რადგან ასობით საქართველოს მოქალაქე ყოველდღიურად გადადის და გადმოდის ჩვენს საზღვარზე, კერძოდ კი, წითელ ხიდზე. მათი უმრავლესობა აზერბაიჯანელია. "24 საათი" აზერბაიჯანელ ჟურნალისტს ესაუბრა, რომელმაც განაცხადა, რომ დაავადების გავრცელების საშიშროება ჩვენი მოქალაქე აზერბაიჯანელებიდან უფრო მეტია, ვიდრე ბაქოდან. მაგალითად, გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალაში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა უმრავლესობა, იქ დაახლოებით 800 კომლი ცხოვრობს, სავაჭროდ, ბაქოს გავლით, ჩინეთში დადის და ასეთი ვიზიტები ვირუსული ინფექციის გავრცელების შემდეგაც არ შეწყვეტილა.

"24 საათი" სართიჭალის გამგებელს ვანო ბიძინაშვილს დაუკავშირდა, რომელმაც დაადასტურა აღნიშნული ინფორმაცია. მისი თქმით, სოფლიდან დღეგამოშვებით ორ-ორი ავტობუსი დადის ბაქოში. სამი დღის წინ კი მუღალოს მცხოვრებლებმა ჩინეთიდან საქონელი ჩამოიტანეს. სოფლის გამგებელს არ ჰქონდა ინფორმაცია, ჩაუტარდათ თუ არა ამ ადამიანებს სამედიცინო შემოწმება. ქვემო ქართლის ჯანდაცვის სამინისტროს დეპარტამენტის ხელმძღვანელის თამაზ მურჯიკნელის განმარტებით, ქვეყანაში შემოსული ადამიანები საზღვარზე მოწმდებიან და, საეჭვო ნიშნების დაფიქსირების შემთხვევაში, ისინი იზოლირებულნი იქნებიან. ეს არის ჯერჯერობით ერთადერთი ბერკეტი ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგოდ, რაც, შესაძლებელია, არც თუ ისე ეფექტური აღმოჩნდეს.

"მთელი მსოფლიოს წამყვანი მედიკოსები ჯერ კიდევ დაავადების შესწავლით არიან დაკავებულნი. დადგენილია, რომ ვირუსი აგებულებით წითელას ჰგავს, თუმცა მისი კლინიკური ნიშნები განსხვავებულია. და ყველაზე მთავარი: ისევე, როგორც ყველა ვირუსს, ატიპურ პნევმონიასაც გააჩნია ინკუბაციური პერიოდი, ანუ შესაძლებელია ადამიანი ვირუსის მატარებელი იყოს, მაგრამ კლინიკური ნიშნები არ აღენიშნებოდეს," - აცხადებს მურჯიკნელი. აქედან გამომდინარე, ჩინეთში ან სხვა ინფიცირებულ ტერიტორიაზე ნამყოფი ნებისმიერი ადამიანი დაავადების პოტენციური გადამტანია. სამწუხაროდ, უცნობია, აღრიცხავს და აკონტროლებს თუ არა ჯანდაცვის სამინისტრო ასეთი ადგილებიდან საქართველოში შემოსულ ადამიანებს.

მოხდება გაცილებით დიდი თანხებით მანიპულირება. რა თქმა უნდა, კონკრეტულ თანხას განსაზღვრავს მიღებული ინფორმაციის მნიშვნელობა; ოდიოზური მეთაურების დაკავებისთვის ასობით ათასებსაც არ დავიშურებთ," - ირწმუნება ზაგგაევი. მისი თქმით, დიდად დაფასდება დაქირავებული უცხოელების დაკავებაში გაწეული დახმარება. თუმცა, მან იქვე დაამატა, რომ "რესპუბლიკა ღარიბია და შედარებით მაღალმა ჯილდომ, შესაძლოა, სერიოზულად გააუმჯობესოს ადამიანის მატერიალური მდგომარეობა." მისი თქმით, **"ბანდიტები ქირაობენ უმუშევარ ახალგაზრდებს და ას დოლარად ტერაქტებში მონაწილეობას აიძულებენ. ჩვენ რატომ არ შეგვიძლია, მეტის გადახდით იგივე ადამიანი ვაქციოთ ინფორმატორად?"** - კითხულობს სენატორი. ფონდის შექმნის იდეას მხარი დაუჭირა ჩეჩნეთის პრორუსული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ახმად კადიროვმა და ჩეჩნეთის პრემიერ-მინისტრმა ანატოლი პოპოვმა.

ზაგგაევის თქმით: **"ჩვენი ჩანაფიქრის თანახმად, ფონდი უშუალოდ ჩეჩნეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე იფუნქციონირებს, ფული ჩეჩნეთის ბანკში შეინახება, ჯილდოს გადახდის წესს კი რესპუბლიკის სამართალდამცველი ორგანოები დაადგენენ."**

ბრძოლის ახალი მეთოდი ჩეჩნეთში

ჩეჩნეთში უახლოეს მომავალში გეგმავენ არაკომერციული ფონდის გახსნას, საიდანაც რესპუბლიკის მცხოვრებთ გადაუხდიან ფულად ჯილდოს იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლებასა და სამართალდამცველ ორგანოებს ჩეჩენ მებრძოლთა და ბანდფორმირებათა შესახებ მიანვდიან ინფორმაციას. **"ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ფულის გაცემა უკვე მაისის დღესასწაულების შემდეგ დაიწყება,"** - აცხადებს ფონდის შექმნის ინიციატორი, ფედერაციის საბჭოს წევრი ჩეჩნეთიდან ახმარ ზაგგაევი. მისივე თქმით, ფონდი შეივსება საზოგადოებრივი ორგანიზაციების, კერძო შემოწირულობების ხარჯზე. ფონდში შემოწირულობებს შეიტანენ ჩეჩენი წარმოშობის ბიზნესმენებიც, რომელთა დიდმა ნაწილმა ფონდის შექმნის იდეა უკვე მოიწონა. **"ბევრ მათგანს სრულიად უსაფუძვლოდ აბრალებენ "ტყის ძმების" შენახვას. ფონდში მონაწილეობის მიღება კი საწინააღმდეგოს დამტკიცების რეალურ შანსს იძლევა,"** - აცხადებს სენატორი.

მართალია, იდეა ჯერ კარგად ჩამოყალიბებული არ არის. მაგალითად, ზაგგაევი ვერ ასახელებს თანხებს, რომლებსაც ჩეჩნები მებრძოლების შესახებ ინფორმაციის გაცემისთვის მიიღებენ. **"ლაპარაკია არა ათობით და ასობით ათას დოლარზე –**

აზერბაიჯანის ექსსპიკერი ამსტერდამში დააკავეს

2 მაისს ინტერპოლის თანამშრომლებმა ამსტერდამში დააკავეს აზერბაიჯანის პარლამენტის ექსსპიკერი რასულ გულიევი. თუმცა, გულიევი მალევე, 30 წუთის შემდეგ გაათავისუფლეს.

რასულ გულიევის განცხადებით, ინტერპოლმა იგი უსაფუძვლოდ დააკავა. გულიევი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პარლამენტის სპიკერის თანამდებობიდან 1996 წელს გადადგა. იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში აშშ-ში ცხოვრობდა. რასულ გულიევი, რომელიც აზერბაიჯანის ამჟამინდელი ხელისუფლების ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერია, გადადგომისთანავე აზერბაიჯანის გენერალურმა პროკურატურამ ბრალდებულად გამოაცხადა. მის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე სამსახურებრივი თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და სახელმწიფო ქონების მიტაცების ბრალდებით.

კომპრომისი მაინც შედგა

პირველი გვერდიდან

თუმცა, ამ შეკრებაზე არ მოვიდნენ არც "გაერთანებული დემოკრატების" ლიდერი ზურაბ ჟვანია, არც მთავარი "ნაციონალი" მიხეილ სააკაშვილი და არც "ახალი მემარჯვენეების" თავმჯდომარე დავით გამყრელიძე. ამ პარტიების ინტერესებს შესაბამისად გიგი წერეთელი, კოტე კემულარია და დავით საგანელიძე იცავდნენ.

საგულისხმოა ის კომენტარები, რომელსაც პოლიტიკოსები ამ შეხვედრის დაწყების წინ აკეთებდნენ.

"იმედი მაქვს, შეთანხმებას მივაღწევთ. მთავარია, პროცესი დაიწყოს, რათა პარტიები პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მაქსიმალურად დაახლოებული პოზიციებით წარდგნენ. ისეთი კომპრომისული ვარიანტი უნდა მივიღოთ, რომელიც მოსახლეობას და პოლიტიკურ სპექტრს დემოკრატიული, სამართლიანი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების გარანტიას მოგვცემს," - აცხადებდა პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე.

"ალბათ, კონსენსუსს მივაღწევთ, რადგან ვინც დღეს "მრეწველების" ოფისში შევიკრიბეთ, დაინტერესებულები ვართ, არჩევნების ჩატარებას არანაირი პროცედურული ბარიერი არ შეექმნას," – ეს ხელისუფლების საარჩევნო ბლოკის სპიკერი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ირინა სარიშვილი-ჭანტურიაა.

"ოპოზიცია არასოდეს დაეთანხმება ხელისუფლებას, ცესკო პრეზიდენტმა დააკომპლექტოს. თუ ხელისუფლება კეთილგონიერებას არ გამოიჩენს, თბილისში, 2-3 თვეში, ბარიკადები აიგება," – იმუქრებოდა, თავის მხრივ, სახალხო პარტიის თავკაცი მამუკა გიორგაძე.

"არ ვიცი, რას შემოგვთავაზებს დღეს ხელისუფლება, მაგრამ პოლიტიკა კომპრომისების გარეშე არ კეთდება," – დინჯად ბჭობდა ქართველ ტრადიციონალისტთა ლიდერი აკაკი ასათიანი.

შეხვედრის დასრულების შემდეგ კი პოლიტიკოსთა კომენტარები გაცილებით ოპტიმისტური იყო. "მრეწველთა" ოფისი პირველად სახელმწიფო მინისტრმა დატოვა. **"კომპრომისი მიღწეულია",** – განუცხადა მან ჟურანლისტებს.

კმაყოფილი ჩანდა პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, რომლის თქმითაც, ამ პრინციპული შეთანხემების შემდეგ საჭიროა დეტალების დაზუსტება და კვოტების თაობაზე მსჯელობა.

რაც შეეხება თავად ამ შეთანხმებას: როგორც ვიტალი ხაზარაძემ "24 საათს" განუცხადა, კომპრომისი გულისხმობს ცესკო-ს შერეული პრინციპით დაკომპლექტებას. თუმცა, პრეზიდენტს მაინც ექნება რამდენიმე წევრის კანდიდატურის დასახელების უფლება. ცესკო-ში საკუთარ წევრებს დანიშნავენ პარტიებიც, თუმცა კონკრეტულად რომელი, ეს ჯერ კიდევ გაურკვეველია.

როგორც კულუარებში საუბრობენ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების ახალი მოდელი ძალზე დაემსგავსება ინტერფრაქციული ჯგუფის მიერ შემუშავებულ კანონპროექტს, თუმცა ეს მხოლოდ მოსაზრებაა. გაურკვეველია ისიც, თუ რამდენი წევრი შევა ახალ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. როგორც ბატონი ხაზარაძე ბრძანებს, ეს ციფრიც მსჯელობის საგანი გახდება.

და კიდევ : ჩვენი ინფორმაციით, გუშინდელ დახურულ შეკრებაზე საუბარი შეეხო დღეს მოქმედი ცენტრალური საარჩევნო კომისიის რამდენიმე წევრს, რომელთა კომისიაში დატოვების მომხრეა როგორც ოპოზიციური ძალების, ასევე ხელისუფლების წარმომადგენლებიც. თუმცა ცნობილი არ არის, ცესკო-ს რომელ წევრებს შეეხოთ პოლიტიკოსთა ასეთი გულმოწყალება.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, მოლაპარაკებების შემდეგი ეტაპი ორშაბათიდან დაიწყება და პარტიების წარმომადგენლები უკვე კონკრეტულ საკითხებზე იმსჯელებენ.

საკმაოდ რთულია იმის თქმა, რამ განაპირობა სახელისუფლებო ძალების უკან დახევა. მით უფრო, რომ ჯერ კიდევ გუშინ, დილით, მათი წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ მათთვის მიუღებელია ცენტრალური საარჩევნო კომისიის თუნდაც შერეული პრინციპით დაკომპლექტება. თუმცა ამ განცხადებებს პრეზიდენტთან დახურული შეკრება მოჰყვა და, როგორც ჩანს, საბოლოო პოზიცია სწორედ იქ ჩამოყალიბდა.

როგორც ამბობენ, ხელისუფლების პოზიციის შეცვლა დიდწილად განაპირობა პრეზიდენტ შევარდნაძის შეხვედრამ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან. შეხვედრა რამდენიმე დღის წინ გაიმართა და მასზე, სხვა საკითხებთან ერთად, სწორედ მომავალი საპარლამენტო არჩევნების თემაც განიხილებოდა.

სამართალი

შიდა ქართლში სიტუაცია დაიძაბა

პირველი გვერდიდან

თუმცა, არსებობს ვერსია, რომ მკვლელობა ერთ-ერთი ოსური კრიმინალური დაჯგუფების წევრების მიერაა ჩადენილი. ამ ვერსიას არ გამორიცხავს შიდა ქართლის პროკურორი ამირან ნოზაძე. ამჟამად კანონდამცველები მკვლელობის 3 ვერსიაზე მუშაობენ: პირადი ანგარიშსწორება, ანგარება და პროვოკაცია. სამართალდამცველი უწყების წარმომადგენლები ვარაუდობენ, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მომხდარი მკვლელობა სიტუაციის კიდევ უფრო დაძაბვის მიზნით მოხდა.

ამ ვარაუდს საფუძველს უმყარებს გუშინდელი თავდასხმის შემდეგ ქართული მოსახლეობის აღშფოთება. ადგილობრივი ქართველები აცხადებენ, რომ მოსახლეობა იარაღს აიღებს და ოსების წინააღმდეგ საბრძოლველად გამოვა. ამ დროისთვის კონფლიქტის ზონაში ვითარება უკიდურესად დაძაბულია. არსებობს შეიარაღებული დაპირისპირების საშიშროება.

იურიდიული კომიტეტი საბჭოურ ხარვეზს ასწორებს

საბჭოთა რეჟიმის მახინჯი რეციდივები დღესაც ხშირად იჩენს ხოლმე თავს. ამის ყველაზე ნათელი მაგალითი ე. წ. "ატსტუპნიკების" საქმეა. ამჟამად ასეულობით ოჯახს ღია ცის ქვეშ დარჩენა ემუქრება. საქმე კი იმდენად ჩაიხლართა, რომ კვანძის გახსნა წარმოუდგენლიც ჩანს. თუმცა, საქმის არსში როგორმე მაინც რომ გავერკვეთ, მივყვეთ თანმიმდევრობით:

მერაბ მეტრეველი

საბჭოთა ხელისუფლებამ 1937 წელს მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც, თუ მოქალაქეს ექვსი, ან ექვსზე მეტი ოთახი ჰქონდა, "ზედმეტი ფართი" უნდა ჩამორთმეოდა. 1939 წელს ეს შეზღუდვა კიდევ უფრო გამკაცრდა და დადგინდა, რომ ერთ სულზე 12 კვადრატული მეტრიც საკმარისი იქნებოდა. ბუნებრივია, ის ხალხი, ვინც ამ ახალ სტანდარტებში ვერ ჯდებოდა, გამოსავალს ეძებდა. მათ ბინის მთლიანად დაკარგვას ერჩივნათ მისი გაქირავება. თუმცა, მოგვიანებით გაქირავებაც აიკრძალა და ერთადერთი გამოსავალი მალულად დაგირავება დარჩა. თუმცა, გარიგება რომ შემდგარიყო, მეორე დაინტერესებული ფენის გაჩენა იყო საჭირო. ამასაც საბჭოთა კანონმდებლობამ შეუწყო ხელი. მაშინდელი კანონით, თუ მოქალაქე ქალაქში ჩაწერილი არ იყო, ისე ბინის რიგში ვერ ჩადგებოდა. ამ კატეგორიას ზედმეტი ფართის პატრონები სთავაზობდნენ საკუთარ ოჯახში ჩაწერას და ფართის მიზერულ ფასში დათმობას. ამით ბინის მეპატრონეს ოჯახში ფორმალურად სულთა რაოდენობა ეზრდებოდა და ფართსაც აღარ ართმევდნენ. გარიგება "კუსტარულად" შედგენილი ხელწერილების საფუძველზე ხდებოდა.

საბჭოთა ხელისუფლების გადავარდნის შემდეგ მდგომარეობა კიდევ უფრო აბსურდული გახდა. 1997 წელს პარლამენტმა მიიღო საბინაო კოდექსი და მესაკუთრის უფლებები ხელშეუხებლად გამოცხადდა, ამიტომ ის ხალხი, ვინც უბრალოდ ამდენი წლის მანძილზე ფართით სარგებლობდა, გამოსახლებას დაექვემდებარა. წინა მოწვევის პარლამენტმა კი სრულიად საპირისპირო გადაწყვეტილება და ახალი კანონი მიიღო, რომლის თანახმადაც, "ატსტუპნიკები" პირდაპირ მესაკუთრეებად ჩაითვალნენ. ნამდვილმა მესაკუთრეებმა არ დააყოვნეს და საკონსტიტუციო სასამართლოში იჩივლეს, სასამართლომ ამ ახალი კანონის სამი მუხლი გააუქმა და პარლამენტს სხვა კანონის მიღება დაავალა. დღევანდელი მდგომარეობით, "ატსტუპნიკები" ისევ გამოსახლებას ექვემდებარებიან. ამიტომ ახლა პარლამენტის წინაშე ახალი კანონის სასწრაფოდ მიღების ამოცანა დგას.

კანონის პროექტის შემუშავება იურიდიულ კომიტეტს ანდეს. კომიტეტში კი ეს "საშარო საქმე" ზაქარია ქუცნაშვილს ჩააბარეს. მართალია, ბატონი ზაქარია მუშაობას შეუდგა, მაგრამ ჯერ მთელ დროს მხოლოდ სიტუაციაში გარკვევას უთმობს; მოდავე მხარეები პარლამენტში დაიბარა და მათ არგუმენტებს მოუსმინა. "მოსმენა" მთელი ხუთი საათი გაგრძელდა. მიუხედავად ამისა, რაიმე კონკრეტულის თქმა ქუცნაშვილს ჯერ მაინც უჭირს. ერთადერთი, რაც მან მოახერხა, არის ის, რომ მხარეები ერთმანეთთან მოსალაპარაკებლად დასვა. ქუცნაშვილი ამბობს, რომ საუკეთესო გამოსავალი ამ ეტაპზე თავად მოდავე მხარეების გარკვეულ საკითხებზე შეთანხმებაა. "თუ მათ რაიმე კომპრომისს მიაღწიეს, მაშინ პარლამენტს მუშაობა გაუადვილდება. თუ ისინი შეთანხმდებიან იმ ვარიანტზე, რომლითაც ეს პრობლემა უნდა მოგვარდეს, მაშინ პარლამენტს მხოლოდ ამ ვარიანტისთვის ოფიციალური ფორმის მიცემაღა დარჩება," – ამბობს ქუცნაშვილი.

ზაქარია ქუცნაშვილს ორი დაპირისპირებული მხარის შეხვედრა ოპტიმიზმით ავსებს. "ეს ხალხი პირველად დაჯდა ერთმანეთის პირისპირ მოსალაპარაკებლად. როცა მოგვიანებით დარბაზში შევედი, იქ უკვე ისეთი აგრესიული გარემო აღარ დამხვდა," – აცხადებს ზაქარია ქუცნაშვილი.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

ᲙᲝᲚᲘᲜ ᲞᲐᲣᲔᲚᲛᲐ ᲡᲘᲠᲘᲐᲨᲘ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელის და სირიის პრეზიდენტი ალ-ასადის შეხვედრა.

შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი სირიის პრეზიდენტს ალ-ასადს შეხვდა და სირიისაგან მოითხოვა ისრაელის წინააღმდეგ მოქმედი ტერორისტული ორგანიზაციებისათვის დახმარების შეწყვეტა. ამას გარდა, ამერიკა სირიისაგან ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის გეგმების მხარდაჭერას მოითხოვს.

პაუელის ვიზიტს წინ უსწრებდა ვაშინგტონსა და დამასკოს შორის მიმდინარე სიტყვიერი ომი. ვაშინგტონმა დამასკოს ბრალი დასდო ერაყის ქიმიური იარაღის გადამალვასა და სადამ ჰუსეინის გარემოცვის შეფარებაში.

პაუელმა გადაჭრით უარყო, რომ სირია ამერიკის მორიგი სამიზნეა.

“მე აქ დიპლომატიური მოლაპარაკებების საწარმოებლად ვარ ჩამოსული. ორივე მხარეს შეუძლია მოინდომოს, რათა ომი და ძალადობა გამორიცხოს,” - განუცხადა კოლინ პაუელმა ჟურნალისტებს ბაშარ ალ-ასადის სასახლეში შეხვედრისას.

“მე სირიის პრეზიდენტთან ქვეყანაში მოქმედი ზოგიერთი ორგანიზაციის საქმიანობასა და მასობრივი განადგურების იარაღთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხს განვიხილავ,” - თქვა მან.

აშშ-ის შთამბეჭდავი გამარჯვების შემდეგ სირიამ ვაშინგტონთან დაპირისპირების გაგრძელებას დიალოგი არჩია.

ეს კოლინ პაუელის პირველი ახლოაღმოსავლური ტურნეა მას შემდეგ, რაც ამერიკელებმა სადამ ჰუსეინი დაამხეს.

ᲩᲘᲜᲣᲠᲘ ᲬᲧᲐᲚᲥᲕᲔᲨᲐ ᲜᲐᲕᲘᲡ ᲩᲐᲫᲘᲠᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲣᲪᲜᲝᲑᲘᲐ

ჩინეთი არატრადიციულად მოიქცა, როდესაც წყალქვეშა ნავის ჩაძირვა ჟურნალისტებს დაუყოვნებლივ ამცნო. ამ კატასტროფას 70 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ჯერჯერობით, მომხდარის მიზეზი უცნობია, მაგრამ გემზე აფეთქება, ანალიტიკოსთა აზრით, გაზის გაჟონვამ გამოიწვია.

ეს ჩინეთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი საზღვაო კატასტროფაა, რომელიც ადასტურებს, რომ პეკინს საკმაოდ მოძველებული ტექნიკა აქვს.

სამხედრო ანალიტიკოსების თქმით, ჩაძირული წყალქვეშა ნავის მსგავს ხომალდებზე დაახლოებით 55 ადამიანი მსახურობს. 70 ადამიანის დაღუპვა კი შეკითხვებს ბადებს.

ჩინეთის ოფიციალური საინფორმაციო სააგენტო “სინხუა” სამშველო სამუშაოების შესახებ არაფერს იტყობინება. შესაბამისად, არსად არ ყოფილა ნახსენები, რომ წყალქვეშა ნავი ჩაიძირა და 70 ადამიანი დაიხრჩო.

“მე არ მჯერა, რომ ხომალდი წყლის ქვეშ იმყოფებოდა. საფიქრებელია, რომ წყლის ზედაპირზე აფეთქება მოხდა, ან ხაძარი გაჩნდა,” - აღნიშნავს სამხედრო ექსპერტი მინიკი.

ჯეინის ანალიტიკური ცენტრის ინფორმაციით, ჩინეთს მინის ტიპის დიზელზე მომუშავე 13 წყალქვეშა ნავი ჰყავს, რომელსაც მარაგის შევსების გარეშე 60 დღე შეუძლია ცურვა.

ანალიტიკოსები ძალზე გაკვირვებულები დარჩნენ, რომ ყველაფრის გასაიდუმლოების მოყვარულმა ჩინელმა სამხედროებმა აღნიშნული კატასტროფა არ დამალეს. მიმომხილველები ამას უკავშირებენ ჩინეთის ახალ პრეზიდენტსა და კომუნისტური პარტიის თავმჯდომარეს ხუ ძინთაოს.

ამ წლის მარტში გაპრეზიდენტებულმა ხუმ ჩინურ მედიას მოუწოდა, რომ ატიპური პნევმონიის შესახებ ყველაფერი დაუფარავად დაწერონ.

“სარსის” ვირუსის რეალური შედეგების დამალვის გამო ჩინეთი კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს. ექსპერტების თქმით, ამგვარი უპრეცედენტო საჯაროობის მიზეზი, შესაძლოა, “სარსთან” დაკავშირებული სკანდალი გახდა.

აღსანიშნავია, რომ წყალქვეშა ნავის ჩაძირვის შესახებ ინფორმაციის გამოცხადებისათვის ძიან ძემინის თანხმობაც იყო საჭირო, რადგან ჩინეთის ყოფილი პრეზიდენტი ძემინი სამხედრო საკითხებს კვლავ კურირებს.

ჩინეთის ექსპერტების აზრით, ძიანი “წყლიდან მშრალად ამოსვლას” ცდილობს, რათა არსებული სირთულეები ახალმა ხელმძღვანელობამ მას არ გადააბრალოს.

“ვინც უნდა აგოს პასუხი, ის აგებს კიდეც პასუხს,” - განაცხადა ძიან ძემინმა ჟურნალისტებთან საუბრისას. “ეს პოლიტიკური გამჭვირვალობისაკენ გადადგმული ძალზე მნიშვნელოვანი ნაბიჯია,” - დასძინა მან.

ჩინეთს 90 წყალქვეშა ნავი ჰყავს, რომლებიც რუსეთში და ჩინეთში რამდენიმე ათწლეულის წინ არის დამზადებული. სამხედრო ანალიტიკოსების თქმით, ჩინეთი ფულს წვრთნებისათვის ზოგავდა, ამასობაში კი სამხედრო აღჭურვილობა მოძველდა.

ამჟამად ხელისუფლება 2.5-მილიონიანი სახალხო განმათავისუფლებელი არმიის გასაძლიერებლად მილიარდობით დოლარს ხარჯავს, რათა ის პროფესიონალურ, მაღალი ტექნოლოგიური იარაღით აღჭურვილ არმიად გადაიქცეს.

ᲤᲮᲔᲜᲘᲐᲜᲘᲡ ᲒᲔᲛᲛᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲙᲝᲠᲔᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲘ ᲓᲐᲐᲠᲦᲕᲘᲐ

სამხრეთ კორეის ხელისუფლების განცხადებით, ჩრდილოეთ კორეის სასაზღვრო გემი სამხრეთ კორეის აკვატორიაში შემოვიდა. ამან კორეის ნახევარკუძნულზე კიდევ უფრო გააძლიერა საფრთხის შეგრძნება, სადაც ფხენიანის ბირთვული პროგრამების გამო ვითარება ისედაც დაძაბულია.

ნახევარკუნძულზე არსებული დიპლომატიური დაპირისპირება აშშ-ის მიერ გაკეთებული განცხადების შემდეგ დაიწყო, როცა ფხენიანმა ამერიკელ დიპლომატთან მოლაპარაკებებისას ბირთვული პროგრამების არსებობა აღიარა. სეულის თავდაცვის სამინისტროს თქმით, ჩრდილოეთ კორეის კუთვნილმა გემმა ყვითელ ზღვაში არსებული სასაზღვრო ხაზი გადაკვეთა და უკან მხოლოდ მას შემდეგ გაბრუნდა, რაც სამხრეთ კორეის სამხედრო გემი გამოჩნდა.

ნახევარკუნძულის დასავლეთით არსებულ აკვატორიაში თევზის სარეწი წყლებია, რომლისთვისაც ჩრდილოეთი და სამხრეთი კორეა ერთმანეთს ებრძვიან. ორი სახელმწიფოს სამხედრო და თევზმჭერი გემები საზღვარს ხშირად არღვევს, რასაც დიპლომატიური დაპირისპირება მოსდევს ხოლმე. ამჯერად ვითარება ძალზე დაძაბულია და, შესაძლოა, ნებისმიერი არასწორი ნაბიჯი ომის დაწყების საბაბი გახდეს.

ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲛ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲨᲘ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠ ᲐᲤᲔᲗᲘᲥᲔᲑᲐᲨᲘ ᲔᲭᲕᲛᲘᲢᲐᲜᲘᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲐ

ბრიტანეთის ტერორიზმთან მებრძოლმა საპოლიციო ქვედანაყოფმა თელ-ავივში ოთხშაბათს მომხდარ აფეთქებაში ეჭვმიტანილი ტერორისტები დააპატიმრა.

პოლიციის წარმომადგენლის თქმით, მათ, ინგლისში მოქმედი ტერორიზმის შესახებ არსებული სპეციალური კანონის თანახმად, ორი კაცი და ორი ქალი დერბიშირში, ხოლო ერთი ქალი ნოთინგემშირში დააკავეს.

ისრაელში, ოთხშაბათს, თავი აიფეთქა ბრიტანეთის მოქალაქემ, 21 წლის ასიფ ჰაფინმა. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც პალესტინასა და ისრაელს შორის მიმდინარე კონფლიქტში უცხოელმა აიფეთქა თავი.

ამ აფეთქების შედეგად სამი ებრაელი დაიღუპა, ხოლო 55 - დაიჭრა. ბრიტანეთმა ისრაელს აღუთქვა, რომ თვითმკვლელის ხელშემწყობებს აუცილებლად დაიჭერდა. აღნიშნული პირები სწორედ ჰაფინის ხელშეწყობისათვის დააპატიმრეს.

ᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲐᲞᲘ ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ

ცხრათვიანი პაუზის შემდეგ და საკუთარი 83-ე დაბადების დღის წინ რომის პაპმა კვლავ მოგზაურობა დაიწყო. იოანე პავლე მეორე მადრიდში ორი დღე იქნება და ახალგაზრდა კათოლიკეების შეკრებას დაესწრება.

პაპი ესპანეთის მეფე ხუან კარლოსსა და პრემიერ-მინისტრ ხოზე მარია აზნარს შეხვდება.

ეს საზღვარგარეთ პაპის 99-ე მოგზაურობაა.

უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში პაპმა მსოფლიოში, ფაქტობრივად, ყველა ქვეყანა მოინახულა რუსეთისა და ჩინეთის გარდა.

იოანე პავლე მეორე ესპანეთს კარგად იცნობს და ესპანურსაც შესანიშნავად ფლობს.

ამბები გურიიდან

თამაზ ხარაიშვილი
ოზურგეთიდან

ოზურგეთში პოლიტიკური ძალები თვლემენ

მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღემ უხმაუროდ ჩაიარა, რაც გახლავთ პირდაპირი შედეგი იმისა, რომ აქ ცხადად შეიგრძნობა პოლიტიკურ ძალთა კვდომის პროცესი. ეკონომიკური სიდუხჭირის მარწუხებში მოქცეულ გურიაში აქტივობას აღარავინ იჩენს, რაც იმას მოასწავებს, რომ მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებში ტრადიციულად ხელისუფლების ფავორიტები მოიპოვებენ უპირობო უპირატესობას. საპირველმაისოდ ვეტერანთა სხვადასხვა გაერთიანებები აპირებდნენ მცირე წამიტინგებას, მაგრამ ადგილობრივი მმართველობა გამარჯვების დღის - 9 მაისისათვის საზეიმო სხდომის ჩატარებასა და "ფოჩიან კანფეტებს" შეჰპირდა და ეს მეთოდი ეფექტიანიც აღმოჩნდა და იაფიც.

დაერქმევა თუ არა ოზურგეთს ჩხარტიშვილი?!

ადრე, გარდამავალი და განვითარებული სოციალიზმის დროს, ოზურგეთს მახარაძე ერქვა, მარქსიზმ-ლენინიზმის ადეპტის ფილიპე მახარაძის პატივსაცემად. ამჟამად საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ შეიძლება გურიის მთავარ ქალაქს ჩხარტიშვილი ეწოდოს, რადგან რაც აქ კეთდება, კეთდება მხოლოდ ვანო ჩხარტიშვილის კურთხევით, ხელდასხმითა და მოხსენიებით. როგორც ოზურგეთის განვითარების ფონდის პრესცენტრი გვაუწყებს, ბატონი ვანოს გარჯითა და მეცადინეობით აქ საბიუჯეტო აღრიცხვაზე დადგნენ ნავთობპროდუქტების იმპორტიორი ორგანიზაციები "იბერკომპანი" და "მაროილი", რამაც ადგილობრივ ბიუჯეტს 133000 ლარი შესძინა. ამის წყალობით კი ოზურგეთის რაიონულ გამგეობას შესაძლებლობა მიეცა მთლიანად გადაეხადა საბიუჯეტო ორგანიზაციების სახელფასო დავალიანებები, ასევე გაესტუმრებინა ცენტრალური ბიუჯეტიდან აღებული სესხი.

ასევე ვანო ჩხარტიშვილის ზრუნვითა და რუდუნებით ადგილობრივმა ბიუჯეტმა სოლიდური ერთჯერადი შევსება მიიღო ფიზიკურ პირთა დივიდენდებიდან გადასახადების სახით. ამ თანხიდან, რომელიც ორ მილიონ ლარს შეადგენს, ნახევარზე მეტი გაიხარჯება კურორტ ურეკის საჭიროებებზე, დანარჩენი კი, რაიონის გამგეობისა და საკრებულოს გადაწყვეტილებით მოხმარდება პედაგოგების სახელფასო, ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამების დავალიანებების აღმოფხვრას, გადაიხურება ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ასევე გარკვეული თანხა მიმართული იქნება საგაზაფხულო სამუშაოთა ჩასატარებლად. ამ მიზნით აპრილის დამლევს ვანო ჩხარტიშვილმა უკვდავების წყალივით მიაწოდა თითოეულ ოჯახს ათ-ათი ლიტრი დიზელის საწვავი.

116 წლის დედამ 78 წლის შვილი მოინახულა

ოზურგეთის რაიონს სოფ. ასკანის მცხოვრებნი კარგა ხანია შემოვლითი გზით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს, რადგან გზა მეწყერმა დაიტანა. სოფლის მწირ ბიუჯეტს ამ პრობლემის გადაწყვეტა არ შეეძლო. სოფელს მშველელად შპს "ასკანიტი" მოევლინა. მათ სრულად აღადგინეს დამეწყრილი გზა და იგი სპეციალური ბალასტით დაფარეს. განახლებულმა გზამ პირველი მგზავრები გაატარა, მათ შორის იყო 116 წლის ეფროსინე ბრეგვაძე თერჯოლიდან, რომელიც ასკანაში შვილს - 78 წლის აკაკი თურქაძეს ესტუმრა.

ოზურგეთში საქართველოში პირველი სამგალობლო სკოლა გაიხსნება

ოზურგეთის რაიონის სოფ. ცხემლისხიდში საქართველოში პირველი სამგალობლო სკოლა და ქართული საგალობლის მუზეუმი გაიხსნება. ამ საშური საქმის ინიციატორი გახლავთ ბიზნესმენი და ქველმოქმედი ვაჟა ლომინაძე, რომელმაც თავისი ბაბუის, ცნობილი მომღერლისა და მოცეკვავის, ნიჟა ლომინაძის ნაფუძარზე სკოლისა და მუზეუმისათვის შესანიშნავი შენობა ააგო. უკვე შერჩეულია ახალგაზრდა მომღერლები, რომლებიც აქ ისწავლიან და, სკოლის დასრულების შემდეგ, გურიის ეკლესია-მონასტრებში გააგრძელებენ მოღვაწეობას მგალობლებისა და რეგენტების რანგში. ამ საქმეს კოორდინაციას უწევს ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელი ანზორ ერქომაიშვილი. ინტენსიურად მიმდინარეობს მასალების მოძიება მუზეუმისათვის, არადა გურია ამ თვალსაზრისით საკმაოდ მდიდარია. ნიშანდობლივია, რომ აქ მხოლოდ ერთ სოფელში, მაკვანეთში, ნაკაშიძის გორაზე, ხუთი გამოჩენილი მგალობელი - გიორგი ბაბილოძე, ლუკა თოიძე, არტემ, გიგო და ვლადიმერ ერქომაიშვილები განისვენებენ. ოზურგეთში სამგალობლო ტრადიციების აღორძინებას სხვა მხარდამჭერებიც გამოუჩნდნენ. საუბარია "ახალ გურულთაგან" ერთ-ერთზე, ანტონ ინგოროყვაზე, რომელიც წარმოშობით სოფ. მაკვანეთიდანაა და სამგალობლო სკოლის მოსწავლეებისათვის, ვაჟა ლომინაძესთან ერთად, სტიპენდიების დანიშვნა ივალდებულა.

ვაჟა ლომინაძემ სოფ. ცხემლისხიდში წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაც აღაშენა. ეკლესიის ეზოში დაკრძალულია მისი ძმისშვილი, "აი-ეს-თე-ლასის" ფინანსური მენეჯერი ნიკა ლომინაძე, რომელიც შარშან ბოროტმოქმედმა გამოასალმა სიცოცხლეს.

ინფორმაცია

„კმარა" - გორსა და ზუგდიდში

გუშინ წარწერები "კმარა" გამოჩნდა გორსა და ზუგდიდში. ზუგდიდში იგი ყველა ცენტრალურ ქუჩას ამშვენებს, კიდევ ერთ წარწერასთან - „ხელები შორს „ოდიშისაგან", ერთად. „ოდიშის" შევიწროების შეწყვეტის მოთხოვნით, ცენტრალურ ქუჩაზე გაიმართა ოპოზიციურად განწყობილი ახალგაზრდობის აქციაც. მათი განმარტებით, ეს მხოლოდ დასაწყისია. ხელისუფლების წარმომადგენლებმა წარწერების წაშლა სცადეს, მაგრამ ეს ყველგან ვერ მოახერხეს. "კმარა" წერია გორის ქუჩებსა და შენობების ფასადებზეც. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ახალგაზრდული ორგანიზაციის, სტუდკავშირისა და დემოკრატიისათვის მებრძოლთა წარმომადგენლების განცხადებით, წარწერები მათ გააკეთეს. ახალგაზრდობა აცხადებს, რომ დემოკრატიზაციის პროცესში აქტიური მონაწილეობის მიღებას აპირებს და აღარ შეურიგდება იმ „განუკითხაობას" რომელიც შიდა ქართლში სუფევს.

"24 საათი"

მონიტორინგი ქუთაისურად

მერიის სამსახურმა ახალი მონიტორინგის საბჭო შექმნა. მას ევალება საკვები პროდუქტების ხარისხის, წონისა და ვარგისიანობის ვადის კონტროლი.

მონიტორინგის საბჭოში, ძირითადად, მეცნიერები, ინტელიგენციის წარმომადგენლები და ქალაქის ცნობილი ადამიანები არიან გაერთიანებულნი. საბჭოს ხელმძღვანელად მალხაზ მჭედლიძე დაინიშნა. "იმედია, კომპეტენტური საბჭო მასზე დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებს და ქუთაისის მოსახლეობა ეკოლოგიურად სუფთა და ვარგისიან საკვებს მიიღებს", - მიაჩნია ქუთაისის მერს, ნუგზარ ფალიანს. იგი საბჭოს დაფინანსებას ადგილობრივი ბიუჯეტიდან აპირებს.

ინტერ-პრესი

დღეს კვირაცხოვლობაა

4 მაისს მართლმადიდებელი ქრისტიანები კვირაცხოვლობას აღნიშნავენ. ამ დღეს აღდგომის დღესასწაულის განახლება ხდება. სადღესასწაულო წირვა-ლოცვას სიონის საკათედრო ტაძარში სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე აღავლენს. წირვის დასრულების შემდეგ მორწმუნეებს დაურიგდებათ სპეციალური პური – არტოსი, რომელიც აღდგომის ღამეს იკურთხება და ბრწყინვალე შვიდეულის განმავლობაში აღსავლის კარის წინ, მაცხოვრის აღდგომის ხატთან ერთად არის დაბრძანებული. კვირას არტოსი დანაწილდება და ლიტურგიის შემდეგ, ჯვარზე მთხვევის დროს მორწმუნეებს ერთგვარი სიწმინდის სახით დაურიგდებათ. "ტაძარში მიღებული არტოსის ნაწილები მორწმუენეებმა მოწიწებით უნდა შეინახონ, როგორც სულიერი ნუგეში ავადმყოფობის ჟამს. არტოსი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში გამოიყენება," - განმარტავენ საპატრიარქოში.

დღეს უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის მღვდელმთავრობის მე-40, აღსაყდრების 25-ე და დაბადების 70-ე წლისთავიც აღინიშნება. ამასთან დაკავშირებით, დღეს საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამოფენა-საღამოს გამართავს.

ინტერ-პრესი

ერთი დღე თელავში

დალი კუპრავა

კახეთში ქართული ენის დღეები ყველა რაიონმა და სოფელმა აღნიშნა. ენის დღეების ფორმატში თელავის პირველ სკოლაში ახალი სახელმძღვანელოს განხილვა მოეწყო. ვისარგებლეთ შემთხვევით და მხოლოდ ამ თემით რომ არ შემოვფარგლულიყავით, თელავში ერთი დღე დავყოვნდით.

გალავანს იქით სხვა სამყაროა, მისტიურიც კი.

ორი საუკუნეა ამ კარით სკოლაში შემოდიან.

ვაჟა ფშაველა სემინარიაში.

სეხნია რექტორი და ყარაჭალელების "დედა ენა"

თელავის ქუჩები ხალხმრავალია ისე, როგორც ქალაქს შეეფერება. ქალაქში მთელი ძალით მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებები მუშაობს და ადამიანთა მოძრაობის დიდი წილიც მოსწავლეებსა და მასწავლებლებზე მოდის. ქუჩაში მრავლადაა დაუსაქმებელი ახალგაზრდობაც. "ახლა სამრეწველო ობიექტები აღარ მუშაობს, მართალია, მიწა კერძო საკუთრება გახდა და ამით ბევრი დაკავდა, მაგრამ ქალაქი მიჩვეული იყო სამრეწველო ყოფას. მე-10 მე-11 კლასიც სავალდებულო აღარ არის, თან ფასიანია და მშობლების ნაწილი ვერ იხდის. ამიტომ დარჩნენ უფროსებიც და ახალგაზრდებიც გარეთ, დაუსაქმებელი",- მეუბნება ერთ-ერთი მასპინძელი, თელავის განათლების განყოფილების გამგე ლია მუმლაური.

ფასიანი სკოლა–ლიცეუმი მხოლოდ სოფელ აკურაშია. თელავში კერძო დაწყებითი სკოლაც არის, მაგრამ თავი ვერ შეუნახავს. სკოლებში ახალგაზრდა პედაგოგებსაც ვერ ასაქმებენ, რადგან მჭიდროდაა დაკომპლექტებული და პერიოდულად მასწავლებელთა შემცირებაც ხდება. განათლების განყოფილების გამგის თქმით, მოუხერხებელია კანონი, რომელიც მასწავლებლის ნახევარ განაკვეთზე ნაკლები დატვირთვით დაკავებას კრძალავს. ხშირად, ახალგაზრდა სპეციალისტის კვალიფიკაციისთვის რამდენიმე საგაკვეთილო საათიც სასარგებლოა. ამგვარი ვითარება საკადრო პოლიტიკას ჩიხში შეიყვანსო, ფიქრობს განათლების განყოფილების გამგე.

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის უნივერსიტეტი სტუდენტებით კახეთის რეგიონიდან მარაგდება. იმ დღეს უნივერსიტეტში ფაკულტეტების დეკანებს ირჩევდნენ. გვითხრეს, თელავის უნივერსიტეტში კორუფციის პრობლემა არ დგასო. უნივერსიტეტის რექტორი როინ ჭიკაძეა: თელავი ხომ სატახტო ქალაქია, ანუ დედაქალაქი, ამიტომ რექტორებიც სეხნიები არიანო, ხუმრობენ თელაველები. ბატონ როინს ძალიან ემადლიერებიან. თელავში გალავნის მოედანზე ილიკო სუხიშვილის სახელობის ქორეოგრაფიული სტუდია და ნიკო სულხანიშვილის სახელობის მუსიკალური სასწავლებელია. იმ დღეს ჩვეულებრივი სამეცადინო დღე იყო - შენობებიდან წყვეტილად ისმოდა დოლ-გარმონის და ფორტეპიანოს ხმა. სტუდია და მუსიკალური სასწავლებელი მოვლილი, სუფთა და საქმიანი დაგვხვდა. როცა ნანახი მაქვს ნანგრევებად ქცეული ქალაქების ცენტრები და ვიცი, რომ სამოქალაქო ომის დროს მარტვილის სამუსიკო სკოლას შეფარებულმა "განმათავისუფლებლებმა" გასათბობად ცხრა ფორტეპიანო ღუმელს შეუნთეს, სასიამოვნოდ მაოცებს ყველაფერი, რაც ქაოსს გადაურჩა. თელავი გადარჩენილი ქალაქია.

თელავის სკოლა-ინტერნატის ეზოში "დედა ენის" ძეგლი დგას, "საქართველოში მეორე",-ამაყობენ თელაველები. სოფელ ყარაჯალაში კი, სადაც სამასი წლის წინათ ჩამოსახლებული აზერბაიჯანელების შთამომავლები ცხოვრობენ, იმ დღეს ქართული ენის ზეიმი იყო. სკოლის დირექტორმა, დურსუნ მუსაევმა, ნათელა ვასაძეს, როცა ის განათლების მინისტრი იყო, სკოლაში ქართული ენის საათების გაზრდა სთხოვა. ვასაძეს უარი უთქვამს, პროგრამას ვერ შევცვლიო და მუსაევსაც არ დაუხანებია: ქართველი თქვენ ხართ თუ მე, ვერ გამიგიაო - უთქვამს. მერე, ხელი რომ არ შეუწყვეს, სურვილიც განელდა. ეროვნულმა სახელმწიფომაც ვერ შეძლო აზერბაიჯანელთათვის ქართული ენის ცოდნის უზრუნველყოფა. დღეს კი მშობლები შვილების გაძლიერებას ქართული ენის ცოდნით ცდილობენ. წელს ოთხი პირველი კლასიდან სამი ქართულია. როგორც გვითხრეს, სახელმწიფო ენის ცოდნის სურვილთან ერთად, ბოლო წლებში ყარაჯალაში შობადობამაც იმატა. თელავში კი, "ქალაქურად", ორშვილიანი ოჯახები ჭარბობს. "ქართული თუ არ ეცოდინება როგორ იცხოვრებსო", – გვეუბნება ექვსი შვილის ყარაჯალელი დედა...

თელავის პირველ სკოლაში "თავს შენარცხებული" მასწავლებელი და დურბინდიანი დირექტორი მუშაობენ

"გაიცანით, ლეილა შალვაშვილი, დედა ენის მასწავლებელი. რომ იცოდეთ როგორ გაკვეთილს ატარებს, მარტო რეზო ინანიშვილის გაკვეთილი რად ღირს?!"- წარმომიდგინეს იგი პირველ სკოლაში ამაყად, და ცოტა ხანში მივხვდი, რატომ. ქალბატონი ლეილა თელავის უნივერსიტეტის პროფესორია და მასთან საუბრისას უმალ დარწმუნდები, რომ მართლა არ შეიძლება მისი ორმოცდახუთწუთიან ჩარჩოში ჩასმა და რომ საერთოდ ვერ შეეგუება ვერანაირ შაბლონს. "ერთი საკუთარ თავს შენარცხებული ქალი ვარო",- თვითონ ასე ამბობს და დედა ენას უვლის.

სამეფო ციხე ქალაქი: გალავნის შიგნით ნამდვილი საოცრებაა ერეკლე მეფის სასახლე და კარის ეკლესია, საიდუმლო გვირაბი და ანკარა წყარო, გაუქმებული მეფის აბანო და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, თელაველი მეცენატის ქეთევან იაშვილის სახელობის სურათების გალერეა და თელავის პირველი სკოლა.

1758 წელს მეფე ერეკლეს ნებით და მისი ძმის ანტონ კათალიკოსის თაოსნობით დაარსდა ფილოსოფიური სკოლა. ამბობენ პირველი ზარი სკოლაში ერეკლე მეფეს შემოუკრავს, სკოლა კი დოსითეოზ ჩერქეზიშვილს უკურთხებია. 1782 წელს სასულიერო სემინარიად გადაკეთებულა. ფილოსოფიური სკოლის ნაფუძარზე დღეს თელავის პირველი სკოლაა. ამ სკოლასთან ლეგენდარული სახელებია დაკავშირებული, ზოგიერთი ასწავლიდა - ზოგიც სწავლობდა: თეიმურაზ ბაგრატიონი, იოანე ბატონიშვილი, სოლომონ ლიონიძე, ფილიპე ყაითმაზაშვილი, გაიოზ რექტორი, დავით რექტორი (მესხიშვილი), სანდრო ახმეტელი, ვასილ ბარნოვი, ნიკოლოზ მთვარელიშვილი, ნიკო სულხანიშვილი... ფოტოზე, რომელზეც აღბეჭდილია თელავის სასულიერო სასწავლებლის რექტორი ნიკო მთვარელიშვილი მოსწავლეებთან ერთად, მასწავლებლის მარცხნივ ზის 16 წლის ვაჟა ფშაველა. ფოტო "თელავის მოამბეს" მიაწოდა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა გიორგი ჯავახიშვილმა. მის საოჯახო არქივში ეს ფოტო პირველ ნომრადაა აღრიცხული. მისთვის ფოტო ნიკო მთვარელიშვილის ვაჟს ვასო მთვარელიშვილს უჩუქნია. მასვე გაუხსენებია, რომ სურათის გადაღების დროს ლუკა რაზიკაშვილი დამალულა. მასწავლებელს მოუკითხავს: მოდი აქ დაჯექი მთის ვეფხვოო, უთქვამს და გვერდით ძალით დაუსვამს. ჩვენ გიორგი ჯავახიშვილი ვერ ვნახეთ, უნივერსიტეტში არჩევნებზე იყო, მაგრამ მერი ზაალიშვილის რეკომენდაციით, ალბათ, მომავალში ვესტუმრებით - მის ფოტოარქივში ბევრი სურპრიზი დაგვხვდება.

იმ დღეს პირველ სკოლაში დირექტორი არ დაგვხვედრია: ამას წინათ ისე განუცდია თავისი სკოლის საფეხბურთო გუნდის წაგება, რომ გულის შეტევა დამართნია და სახლში მკურნალობდა. "ხომ არ გგონიათ, რომ არ იცის ვინ სტუმრობდა დღეს სკოლაში და როგორ გამოიყურებით? მისი აივნიდან სკოლის ეზო კარგად ჩანს და უქმე დღეებშიც დურბინდით ზვერავს - მის თვალს არაფერი გამოეპარება,"- გვეუბნება ქართული ენის მასწავლებელი დოდო კიკნაძე.

დოდო კიკნაძის მოსწავლეები იმ დღის მთავარი მასპინძლები იყვნენ. ქართული ენის დღისთვის მათ თავისი შემოქმედება წარმოადგინეს: კედლებზე მათი ნამუშევრები იყო გამოფენილი და წინ სპექტაკლი გველოდებოდა.

მანამ კი ქართული ენის ახალი სახელმძღვანელოს პრეზენტაცია იყო.

ეთერ აფხაზავასა და თინათინ ბოლქვაძის მიერ შედგენილმა და ხელმძღვანელოების კონკურსზე გამარჯვებულმა მე-5 კლასის "ქართულმა ენამ" ოცამდე სხვა სკოლასთან ერთად აპრობაცია თელავის პირველ სკოლაშიც გაიარა. "სახელმძღვანელოს კონკურსზე გამარჯვება არ შველის, მთავარია, რომ ის სკოლამ და მასწავლებელმა შეაქოსო,- კმაყოფილია ლეილა შალვაშვილი არა მარტო წიგნის შინაარსის, არამედ მისი ფორმის გამოც,- ძალიან დიდ ხანს ჩვენი სახელმძღვანელოები რუხფარაჯიან სამხედროებს ჰგავდნენ, მაგრამ ეს წიგნი ყდიდანვე იპყრობს ბავშვის ყურადღებას და ყდის გაფორმებაც კი მასწავლებელს ბევრის თქმის და სწავლების საშუალებას აძლევს." "გაკვეთილების მომზადებას ქართული ენით ვიწყებ,"- ეს ერთ-ერთი მოსწავლისეული შეფასებაა, მეორეს თურმე ეს წიგნი, უბრალოდ, შეუყვარდა და ასე... მეხუთეკლასელები კმაყოფილებას ვერ მალავენ, რომ ასეთი კარგი წიგნი აქვთ. შეკრებას თელავის რაიონის მასწავლებლებთან ერთად მშობლებიც ესწრებოდნენ. "ამ წიგნით მუშაობა მშობლების დახმარებას არ საჭიროებს,"- ეს მათი აზრი იყო და ავტორებს მადლობა გადაუხადეს იმის გამო, რომ ამ წიგნმა გრამატიკის - მშრალი და უინტერესო საგნის სტერეოტიპი გააბათილა. აღნიშნა ისიც, რომ კარგი იქნება თუ სახელმძღვანელოში სავარჯიშოების რაოდენობა გაიზრდება.

შემდეგ მეხუთეკლასელებმა "იავნანამ რა ჰქმნა" წარმოადგინეს. "აი, ეს სპექტაკლი უნდა აჩვენო ზოგიერთ თეატრალურ დასსო", თავმომწონედ შენიშნა ჩემმა თანამგზავრმა.

მედეა და მისტიკა

პირველი სკოლის გარემო მნახველზე, მართლაც, მისტიურ ზეგავლენას ახდენს - ენათმეცნიერ ზაზა ალექსიძეს არა ერთხელ აღუნიშნავს, რომ ამ სკოლის მისტიკა დაჰყვება მთელი ცხოვრება. თუ სხვა ქვეყნები თავს იწონებენ თავიანთი საუკუნოვანი ტრადიციული სკოლებით, თელავის მუზეუმის დირექტორს ამ სკოლის "დათრევა" და შიგ "ვაზის მუზეუმის" გამართვა მონდომებია. მერე-მეთქი, მერე და მედეა მეზვრიშვილი ამას არ დაუშვებსო, მითხრეს.

როგორც ჩვენი მასპინძლები, გაზეთ "თელავის მოამბის" რედაქტორი მერი ზაალიშვილი და განათლების განყოფილების გამგე ლია მუმლაური ამბობენ, თურმე თელავში სამართალდამცავებს ემადლიერებიან. "ხალხმა სიმართლე უნდა იცოდეს - სამწუხაროდ, ხალხი ფიქრობს, რომ არავინ არაფერს არ იძიებს - ფულს აიღებენ და დამნაშავეს გამოუშვებენ. ახალმა პროკურორმა ვაჟა მაღრაძემ, თავის მოადგილესთან, ზურაბ ჯავახიშვილთან ერთად შეძლო ხალხში იმედის დათესვა. საუკეთესო პროფესიონალია რეგიონული პოლიციის სამმართველოს უფროსი, ზურაბ თუშური. შესანიშნავი ახალგაზრდები არიან - პროფესიონალები და პატიოსნები," – ირწმუნება მერი ზაალიშვილი. კარგი და პატიოსანი...

ერთდღიანი ვიზიტით, მართლა, ძნელია დასკვნების გაკეთება, მაგრამ მას შემდეგ, რაც გამომიტყდნენ "რუსთავი 2"-ის და "24 საათის" მიმართ "განსაკუთრებულ" დამოკიდებულებაში, ჩემი მხრიდან შევთავაზე – თუ მეტყვით, "რუსთავი 2"- ს გავაგებინებ თქვენს პრობლემას და ნახავთ, გაჭირვებაში როგორ იციან გვერდში ამოდგომა-მეთქი. სხვათა შორის ბოლო ხანებში გადაცემებს ვერც ვიჭერთო, პირდაპირ პასუხს თავი აარიდეს. იგივე, გზად, გურჯაანშიც მოვისმინეთ, რომ "რუსთავი 2"-ს ვერ უყურებენ. თბილისში ჩამოსვლისას ტელეკომპანია "რუსთავი 2"- ში მითხრეს, რომ გურჯაანი საერთოდ არ ყოფილა ტელეკომპანიის ქსელში ჩართული; რაც შეეხება თელავს - ამ წლის თებერვლიდან კახეთის რეგიონიდან "რუსთავი 2"-ის ქსელში ექსკლუზიური რეტრანსლირების უფლებით თელავის, ლაგოდეხისა და საგარეჯოს ადგილობრივი ტელეკომპანიებია შესული.

მოკლედ - იქით და აქეთობისას

იქითობისას, კაჭრეთში გავჩერდით. ღვინის ქარხნის პირდაპირ სამანქანო გზაზე რა გინდა სულო და გულო არ ყოფილიყო: ცხელი შოთი და თუშური ყველი, აკუმულატორი, კოკა-კოლა, დახლებზე ათასი წვრილმანით ვაჭრობენ...

ღვინის ქარხნის დარაჯი კი ამბობს, რომ ქარხანა გაჩერებულია. ვინმე რომ მოინდომებდეს, ყველაფერი მზად არის იმისათვის, რომ ქარხანა ამუშავდეს - ლიანდაგი და მატარებელიც შენარჩუნებული ყოფილა.

უკანა გზაზე კი ბნელოდა, ცრიდა, თოვლსაც ურევდა. შესანიშნავი დღე და კახური მასპინძლობა საგარეჯოსთან გზაზე ნაყიდმა "გახალტურებულმა" ჩურჩხელამაც ვერ გააფუჭა.

მეორედ Fashion TV-თვის

ექსკლუზიური კოლექციები აფრიკულ თემებზე

პირველი გვერდიდან

Etere PR უმალ დაუმკვიდრა წამყვანი ადგილი ქართული მოდის სამყაროში, მონაწილე დიზაინერებს კი - საეთერო დრო მოდის ყველაზე პოპულარულ და ავტორიტეტულ სატელევიზიო არხზე.

ამ ღონისძიებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სააგენტო Etere PR-ს წვეულებები შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ მრავალფეროვანია, რაც, ძირითადად, იმითაა გამოწვეული, რომ ამ პროექტებში მაქსიმალურად ბევრი ორგანიზაცია თუ ფირმა მონაწილეობს. ასე იყო გუშინწინაც. "აფრიკა, მოდა, დისკოთეკა, სვირინგები, მაისურები, ფურშეტი და შამპანური", - ამას გვპირდებოდა ღონისძიების სარეკლამო ბუკლეტი. ახლა უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტუმრებმა დანაპირები, მართლაც, უხვად მიიღეს. მანამდე კი, ვიდრე კლუბის კედლებს "ზუმბას" აფრიკული ფონი გაარღვევდა, და შოუ დაიწყებოდა, სტუმრები "ქართულად", ნელ-ნელა, ზანტად გროვდებოდნენ, ხოლო უკვე მისულები გამორჩეულად მრავალფეროვანი და უხვი ფურშეტით იქცევდნენ თავს. ამ მხრივ, ღონისძიებას, უდავოდ, ეტყობოდა მსხვილი ქართული ფირმების, "ყაზბეგისა" და GWS-ის სპონსორობა.

"გახდით V.I.P. სტუმარი ftv-ის party-ზე", - ასეთი მოწოდებით მთავრდებოდა ღონისძიების საინფორმაციო ფურცელი, რომელიც შოუმდე რამდენიმე დღით ადრე გამართულ პრესკონფერენციაზე გაავრცელეს ორგანიზატორებმა. გუშინწინდელ წვეულებაზე ყველა სტუმარს, მოსაწვევითა თუ 35 დოლარიანი ბილეთით მოხვედრილს, ერთნაირი პრეროგატივა ჰქონდა. შესასვლელშივე უმაგრდებოდათ (რასაკვირველია, სურვილისამებრ) სვაროვსკის სვირინგები ftv-ის გამოსახულებით; ყველას შეეძლო ესარგებლა "ორიფლეიმის" პარფიუმერიითა და მომსახურე პერსონალის დახმარებით არჩევანის მიხედვით გაეკეთებინა "აფრიკული" მაკიაჟი, რაც როგორც მოსალოდნელი იყო, მხოლოდ მონაწილე მოდელებს ამშვენებდათ. მაკიაჟზე უარი არ უთქვამთ მიწვეულ ჟურნალისტებსაც, თუმცა ეგზოტიკურ გარეგნობაზე მათ თავი შეიკავეს... დათქმულ დროზე დაახლოებით ერთი საათის გადაცილების შემდეგ კი, კლუბი

სააგენტო "ნატალის" მოდელები

მოდელები FTV-ის მაისურებით

ბესო ბელეკაშვილის ფოტოები

სტუმრებით შეივსო და სანახაობაც დაიწყო.

ცეცხლოვან პოდიუმზე

Etere PR სააგენტო საქართველოში ftv-ის ჯერჯერობით ერთადერთი წარმომადგენელია, რომელსაც ვალდებულება აქვს აღებული, მოაწყოს სხვადასხვა ღონისძიებები ჩვენთან. მსოფლიო მოდის სამყაროში წამყვან სატელევიზიო არხთან თანამშრომლობა ქართულ სააგენტოს ავალდებულებს, მისი ყოველი ღონისძიება თემატურად იყოს საინტერესო. როგორც ჩანს, ftv-ის ხელმძღვანელობა ამჯერადაც კმაყოფილი დარჩა ქართველი პარტნიორების იდეით (ალბათ, გახსოვთ, პირველი ღონისძიების თემა 70-იანი წლები იყო) და წინადადებას, თბილისში ftv-ის ეგიდით გამართულიყო მოდების ჩვენება აფრიკულ თემებზე, - ენთუზიაზმით შეხვდნენ. რაც მთავარია, უცხოელი პარტნიორების ამ ენთუზიაზმზეა დამოკიდებული ქართველი დიზაინერების პროდუქციის რეკლამირება პოპულარული სატელევიზიო არხის ეთერში. ამ მხრივ, ქართველ დიზაინერებს სანერვიულო არაფერი აქვთ – გუშინწინდელ შოუს, კლიპის სახით ftv-ზე ორი თვის განმავლობაში აჩვენებენ.

შესაძლოა, ამ ფართის უარყოფითად შემფასებლებიც ჰყავს, მაგრამ ერთი რამ უდავოა – აფრიკული გარემო კლუბში შეძლებისდაგვარად, ნამდვილად იყო შექმნილი. ბამბუკის ქოხი, ცეცხლოვანი პოდიუმი, რამდენიმე ეგზოტიკური ნივთი, შამანის ნიღბიანი, ნახევრად შიშველი მამაკაცები, აფრიკული ფერები და, რაღა თქმა უნდა, "ზუმბა", რომელიც ცოცხლად ქმნიდა აფრიკულ ფონს. უსამართლო იქნება გამოგვრჩეს მოდელები, "ნატალის" გოგონები, რომლებიც ამ ყველაფერს თავისებურ ეშხს მატებდნენ.

აფრიკული თემის კოლექციები გუშინწინ აჩვენეს წამყვანმა დიზაინერებმა (ასე ეწერა პრესრელიზში): ავთო ცქვიტინიძემ, თამუნა ინგოროყვამ, გვანცა ჯანაშიამ, თეა ნაფეტვარიძემ და სალონ "ნიმას" დიზაინერებმა. თითო დიზაინერს ოთხი კოსტუმი უნდა წარმოედგინა, რაც საათნახევრიანი შოუსთვის აბსოლუტურად საკმარისი იყო.

სალომე ღვინიაშვილი მის ftv party

თუმცა, ყველაფერი საათნახევარში არ დამთავრებულა. დიზაინერების ექსკლუზიური ნამუშევრების ჩვენების შემდეგ, კონკურსების დრო დადგა. ამჯერად, მონაწილე დიზაინერებისგან შექმნილ ჟიურის თავად მოდელთა დიზაინერული შესაძლებლობები უნდა შეეფასებინათ. გამარჯვებულებისთვის გათვალისწინებული იყო სხვადასხვა, შოუს გენერალური "სპონსორის", "ორიფლეიმისგან" დაწესებული პრიზები. საკონკურსოდ, მოდელებს დაურიგეს უცხოელი პარტნიორების გამოგზვნილი მაისურები, რომელთათვისაც "ნატალის" გოგოებს დიზაინი უნდა შეეცვალათ. რასაკვირველია, გული არცერთ მოდელს არ დასწყვიტეს ("ორიფლეიმმა" მათთვისაც გაიღო პარფიუმერიის გარკვეული ნაწილი), ხოლო მის ftv party-ის ტიტული გამოცდილმა დიზაინერებმა სალომე ღვინიაშვილს მიანიჭეს. "ორიფლეიმის" შესახებ კი იმას ვიტყვი, რომ გაწეული ხარჯი, ალბათ, არაფერია იმასთან შედარებით, რაც მას ამ შოუს გენერალურმა სპონსორობამ მისცა – პირველად ამ ფირმის ისტორიაში, ftv ეთერში მისი სახელი ორი თვე იტრიალებს.

„ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა"

ნანა ბასილაშვილი

ლიტერატურის მუზეუმში გუშინ გამოფენის გახსნაზე დამთვალიერებელი ყვავილებით ხელდამშვენებულები მიდიოდა. ვერნისაჟის მასპინძელი, მხატვარი ცირა კალანდაძე სტუმრებს თავადაც ულამაზესი ყვავილებით ეგებებოდა.

ულამაზესი თაიგულები საშუალოზე ოდნავ დიდი ზომის ჩარჩოებში ვერ ეტეოდა. აქ ყვავილების სიდიდეს არ ვგულისხმობ, უამრავი ნათელი ფერი, თითქოს ყველა თავის სიტყვას ამბობდა. ალბათ, ნამდვილად არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ ცირა კალანდაძის ექსპრესიულობით სავსე ნატურმორტები საოცრად მეტყველი და შთამბეჭდავია. ფერწერულ ნამუშევრებში, გარდა ნატურმორტებისა, გამოირჩეოდა საინტერესო, სახასიათო პორტრეტები და პეიზაჟები. ყველა ნამუშევარი კი ერთად აღებული მხატვრის პირადი სამყაროა, რომელიც, როგორც თავად ამბობს, აბსოლუტურად განსხვავებული ხედვით აქვს წარმოდგენილი.

"ეს არის პირადი დამოკიდებულება ამ სამყაროსადმი. ამ შემთხვევაში კი ჩემს ბიოგრაფიას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ჩემი შეგნებული ცხოვრება იწყება 1956 წლის 9 მარტიდან. ეს პერიოდი სამუდამოდ ჩაიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში. ეს კი ვიზუალურად სულ სხვანაირად აღვიქვი. ამიტომ ყველაზე ნათელ სურათშიც კი სევდიანი დამოკიდებულება აღიქმება და ყოველივე ამას, იმ მშვენიერების საშუალებით გადმოვცემ, რაც ჩვენს ირგვლივ ყველაზე ლამაზია, მაგრამ წუთიერი და წარმავალი, ამიტომ მიყვარს ყვავილები. მე მოვესწარი იმ საქართველოს, რომელიც, საუბედუროდ, აღარ არის. ეს იყო მამაჩემის ბებიის თაობის ხალხი, სულ სხვა ღირსების ადამიანები. იმდროინდელ საქართველოს კი ჩემი სევდიანი პორტრეტებით ვეხმაურები".

"ჩემი ნაზი, ლამაზი საქართველო"- ს ცირა კალანდაძე ერთი ჩვეულებრივი ჩიხტიკოპიანი თბილისელი ქალბატონით გადმოსცემს. დარბაზში გამოფენილია რამოდენიმე ერთნაირად დასათაურებული ტილოები. ესა თუ ის თემა ხშირად მეორდება, მაგრამ მხოლოდ იმის გამო, რომ ავტორმა რაც შეიძლება ამომწურავად გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება ამ სამყაროსადმი.

ცირა კალანდაძის გუშინდელ პერსონალურ გამოფენაზე ბოლო

ცისია კალანდაძე

ფოტო ბესელიას ფოტოდან

დროს შესრულებული 80-მდე ნამუშევარია წარმოდგენილი. ისინი შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს. ფერწერულ ტილოებთან ერთად მხატვარს წარმოდგენილი აქვს შედარებით ლირიული აპლიკაციები, რომლებიც ბევრისათვის სასიამოვნო აღმოჩენა იყო. "ესეც ჩემი საქართველოა, ჩემი სამყაროა, უფრო ხუმრობითა და უფრო იუმორით დანახული. მე მაინტერესებს სხვადასხვა მასალაში მუშაობა. იმიტომ, რომ ეს არის ისეთივე გარდასახვა, როგორც რეალური სამყაროს იმიტაცია. განსხვავებულ მასალაში მუშაობა საშუალებას მაძლევს სხვადასხვა სამყაროში ჩემი აღქმის გარდასახვისას, რაც ძალიან საინტერესოა. რაც შეეხება ფერებს, ვფიქრობ, რომ ჩემთან ისინი ძალიან ქართულია, როგორც რუსთაველი ამბობს, "ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა გვაქვს უთვალავი ფერითა". მინდა ეს ქვეყანა ჩვენს ირგვლივ არსებული უთვალავი ფერით ავსახო", - საუბრობს თავად ავტორი.

"შესანიშნავი გამოფენაა და ვფიქრობ, რომ ეს არის, უბრალოდ, შეხსენება იმისა, რომ ხვალ დიდი მაესტროს, ქართული ფერწერის პატრიარქის, ედმონდ კალანდაძის 80 წლის იუბილეა. საერთოდ ტრადიციად იქცა, რომ მაისში კალანდაძეების ოჯახი წარმოდგენილინი არიან, ხოლმე, ამ დიდი გამოფენებით. ახალი ნამუშევრების წარმოდგენა ძველთან ერთად - ეს თითქოს მათეული შემოქმედებითი ანგარიშია. ცირა არის ოთხმოციანელთა თაობის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი. ისევე როგორც ორმოცდაათიანელებს შორის იყო ედმონდ კალანადძე. თუ დავუკავშირებთ თაობათა მემკვიდრეობით ძაფს, თუ როგორ გადასცემენ ისინი მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობას, რასაკვირველია ვნახავთ, რომ მეტედ სასიამოვნო შედეგთან გვაქვს საქმე. მოხარული ვარ დღევანდელი, საოცრად საინტერესო გამოფენით. ყოველ ნატურმოტრტში იგრძნობა ფერთა დღესასწაული და სწორედ ეს დღესასწაული მაძლევს იმის უფლებას, რომ მივულოცო ცირას დღევანდელი შესანიშნავი ვერნისაჟი და ვუსურვო ახალი წარმატებები", - აღნიშნა მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ, **გია ჯანბერიძემ.**

"ნატურმორტები, თითქოს, ერთი დიდი მუსიკალური ნაწარმოებია, თითოეულ მათგანს აქვს თავისებური ენერგია, სიღრმე, ისინი თითქოს ერთგვაროვანიცაა და ამავე დროს განსხვავებულიც, თუ პორტრეტებში არის ძალიან ტრაგიკული განცდა, რატომღაც მგონია, რომ ნატურმორტებში არის იმედი", - ასე შეაფასა გამოფენის ოფიციალურ გახსნაზე, მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ, **ნინო ზაალიშვილმა** ცირა კალანდაძის შემოქმედება. მხატვრის შემოქმედებაში სწორედ იმედი და სილამაზე აისახება.

„აბრეშუმის გზა" შარდენზე გადის

ანა კორძაია-სამადაშვილი

თუკი კულტურული, ლამაზი ექსპოზიციის ნახვის სურვილი გაგიჩნდათ და თან თანამედროვე ქართული მხატვრობა ოდნავ მაინც გაინტერესებთ, აუცილებლად ეწვიეთ ბაიას გალერეას, "არტ ორიენტს", შარდენის ქუჩაზე. გამოფენა გუშინ გაიხსნა და პირადად ჩემში საუკეთესო გრძნობები აღძრა, ცოტა ნოსტალგიური, მაგრამ, მოგეხსენებათ, როცა კარგი დარია და სასიამოვნო ადამიანების გარემოცვაში ხარ, ნოსტალგიაც კი ტკბილია ხოლმე.

თავის სახელწოდებას გამოფენა მერაბ აბრამიშვილის ნამუშევარს, "აბრეშუმის გზას" უმადლის. ამას, ღვთის წინაშე, გურამ ნიბახაშვილი მიხვდა, მე - ვერა. ოლეგ ტიმჩენკოს "ინფანტას" მივჩერებოდი, ეს ინფანტა ნანახი არ მყავდა, და ამიხსნეს, რომ თუკი თვალებს კარგად მოვიფშვნეტ, აუცილებლად შევნიშნავ, რომ დარბაზში გამოფენილ ტილოებზე თვალნათლივ ჩანს დასავლეთისა და აღმოსავლეთის გავლენა ქართულ მხატვრობაზე. ჰო, ინფანტა ევროპელია, გამოფენის "ნათლია", მერაბ აბრამიშვილის "აბრეშუმის გზა" კი - ნამდვილად, აღმოსავლური...

ოლეგ ტიმჩენკოსა თუ მერაბ აბრამიშვილის ხელოვნებას ყველაზე ნაკლებად ჩემი შეფასება და აღფრთოვანებული გამოძახილი სჭირდება, ამიტომ თავს შევიკავებ. არც სხვა მხატვრების შესახებ წერას ვაპირებ – ლევან ლაღიძეს, ზაზა ბერძენიშვილს, გია გუგუშვილს და მრავალ სხვათა ხელოვნებას თბილისელი ხელოვნების მოყვარული საზოგადოება ისედაც კარგად იცნობს. ეს ის მხატვრები არიან, რომლებთანაც "ბაიას გალერეა", უკვე მრავალი წელია, თანამშრომლობს, რომელთა ჯგუფური თუ პერსონალური გამოფენები ამ პატარა, მყუდრო და უკვე მრავალთათვის მშობლიურად ქცეულ სივრცეში მრავალგზის გამართულა. მოგეხსენებათ, პოსტსაბჭოთა საქართველოში "ორიენტი" პირველი კერძო გალერეაა, 1992 წლიდან მოღვაწეობს, და მისი ძირითადი პროგრამა მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეების ქართული ხელოვნება გახლავთ. სხვათა შორის, გამოფენების მოწყობის გარდა, "ორიენტი" სხვა საინტერესო და სასარგებლო საქმეებითაცაა დაკავებული: აუქციონებს მართავს და კოლექციონერებსაც უწევს კონსულტაციას.

გუშინ, მოგეხსენებათ, დაცხა, და შეკეთებულ და გალამაზებულ შარდენის ქუჩაზე თბილისური ვერსნისაჟებისთვის ჩვეული ამბავი ხდებოდა: ირეოდნენ მხატვრები, ფოტოგრაფები, ხელოვნებათმცოდნეები და **бантики сбоку**. და, მიუხედავად იმისა, რომ მეც ამ უკანასკნელთა რიგებში ვდგავარ და ამ საზოგადოებასთან შეხვედრა ძალიან მიხარია ხოლმე, კვლავ და კვლავ ერთი კითხვა მებადება: ნეტა, სულ ეს ხალხი ივლის გამოფენებზე, სხვა არასოდეს არავინ გამოჩნდება?!

ვრადოს საგანძური ეჭვქვეშ დაუყენეს

ფრანცისკო დე გოიას (1746-1828) "შავი ნახატები", მადრიდის პრადოს მუზეუმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საგანძური, დიდი ვნებათაღელვის საგანი გახდა. ხელოვნების ისტორიის სპეციალისტმა, ხუან ხოსე ხუნკერამ, გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც დიდი ესპანელი მხატვრის ყველაზე ცნობილი ნამუშევრების ავტორად მისი ვაჟი, ხავიერი დაასახელა.

"შავი ნახატები" გოიას მძიმე წარმოსახვის ნაყოფია, რომელიც მხატვარმა მადრიდის სიახლოვეს, სოფლის სახლის კედლებზე გამოსახა, და ეს ბნელი და პირქუში ნამუშევრები მხოლოდ შემდეგ იყო ტილოზე გადატანილი.

თავის ვერსიას ხუნკერა იმითაც ასაბუთებს, რომ ცალკეული სიუჟეტები სახლის ზედა სართულზე იყო დახატული, არადა, მისი იქ ყოფნის ჟამს შენობა მხოლოდ ერთსართულიანი იყო, მეორე სართული უკვე იმის შემდეგ აშენდა, რაც გოია საცხოვრებლად სხვაგან გადავიდა. თან, იმხანად ამ ნამუშევრებზე არავის ულაპარაკია. "მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუ დადასტურდება, რომ ნახატები გოიას არ ეკუთვნის, ისინი არანაირად არ დაკარგავენ თავიანთ მნიშვნელობას," ბრძანა ხუნკერამ.

მეცნიერის თეორიის თანახმად, ეს ნამუშევრები გოიას მისმა შვილიშვილმა, მარიანომ "მიაწერა". მარიანოს ამ სახლის გაყიდვა მოინდომა, მაგრამ მყიდველი ვერ იპოვნა, და ამიტომ ნახატები თავის სახელგანთქმული ბაბუის შედევრებად გაასაღაო.

ცხადია, პრადოს მუზეუმი ამ განცხადებას უმალვე გამოეხმაურა, და მეცნიერის მიერ გამოქვეყნებულ დასკვნებს არასრული და არადამაჯერებელი უწოდა. ჯერჯერობით, საბოლოო "განაჩენი" არ გამოუტანიათ. ვნახოთ, რა მოხდება...

ფორმულა 1

"ფერარი" საუკეთესოა

REUTERS

მიხაელ შუმახერი ახალი "F 2003-GA"-ს საჭესთან.

დღეს თბილისის დროით 17.00 საათზე ბარსელონის "კატალუნიას" ტრასაზე სტარტს აიღებს ესპანეთის გრან-პრი. გუშინ კი საკვალიფიკაციო რბოლები გაიმართა. საუკეთესო შედეგი აჩვენეს "ფერარის" პილოტებმა მიხაელ შუმახერმა და რუბენს ბარიკელომ. ისინი შესაბამისად სტატრზე პირველ-მეორე ადგილებს გაინაწილებენ. მესამე პოზიციაზე კი ესპანელთა მთავარი იმედი ფერნანდო ალონზო ("რენო") იქნება, რომელიც საუკეთესო იყო თავისუფალ პრაქტიკაში. კვალიფიკაციის შემდეგ მიხაელ შუმახერმა კიდევ ერთხელ მიუძღვნა ქათინაური ახალ "ფერარი 2003"-ს. "ახალ ბოლიდზე თავს უაღრესად კომფორტულად ვგრძნობდი. სასიამოვნოა იჯდე ახალ მანქანაზე, რომელიც ჩვენს მოლოდინს ამართლებს" - განაცხადა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა. რუბენს ბარიკელოსა და ჟან ტოდტის აზრით კი "F 2003-GA" "ფერარის" ყველა დროის საუკეთესო მანქანაა. გთავაზობთ საკვალიფიკაციო რბოლების საუკეთესო ათეულს.

მიხაელ შუმახერი (გერმანია) ფერარი - 1:17.762

რუბენს ბარიკელო (ბრაზილია) ფერარი 1:18.020

ფერნანდო ალონზო (ესპანეთი) რენო - 1:18.233

იარნო ტრული (იტალია) რენო - 1:18.615

ჯენსონ ბატონი (ბრიტანეთი) ბარი - 1:18.704

ოლივიე პანისი (საფრანგეთი) ტოიოტა - 1:18.811

რალფ შუმახერი (გერმანია) უილიამსი - 1:19.006

დევიდ კულტჰარდი (ბრიტანეთი) მაკლარენი - 1:19.128

ხუან პაბლო მონტოია (კოლუმბია) უილიამსი - 1:19.377

ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი (გერმანია) ზაუბერი - 1:19.427

„ხალხის პირისპირ" - ეს არის ტელეპროექტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მონაწილე კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ. შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს).

შეკითხვები არ მიიღება გაზეთის ქსეროასლით

შეკითხვის ტექსტი:
პასუხის ტექსტი:
1
2
3
4
5

ხანგრძლივობა
ბინის მისამართი
სამსახურის ტელეფონის ნომერი
ბინის ტელეფონის ნომერი
მობილური ტელეფონის ნომერი

წესები ამოქმედების შესახებ:

კითხვა გადაეგზავნება "ხალხის პირისპირ" მიღება მხოლოდ ხელით მოწერილი ბლანკი. შეგვიძლია ბლანკი გამოგზავნეთ ფოსტით მისამართზე: სამუშაოები კომპანია "ოქროსი 2", ტელეფონმენეჯერი "ხალხის პირისპირ", კიბეებსტელის 45, 380077 თბილისი, ან მოიტანეთ ასევე მისამართზე და ჩააგდეთ პირველ სართულზე მოთავსებულ სპეციალურ ყუთში.

სამუშაოები კომპანია "ოქროსი 2" უფლებას იტოვებს, გადაეგზავნოს ინტერესებიდან გამომდინარე ტელეფონები შეკითხვის ის არ გამოიყენოს ოქმში შეკითხვა. "ოქროსი 2" არ არის ვალდებული ეცადოთ - გამოიყენოთ თუ არა ოქმში მიღებული შეკითხვა.

ბლანკის შევსების უფლება აქვს ყველა სრულწლოვანს.

ამ ბლანკში შეგიძლია ჩაწერო მხოლოდ ერთი შეკითხვა. შეიძლება შეიტანოთ და გამოგზავნოთ კითხვა ნებისმიერი რაოდენობით.

თუ ეთანხმებით ზემოთ მოყვანილ წესებს, გთხოვთ, ხელი მოაწეროთ ბლანკს და მიუთითოთ შევსების თარიღი.

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

ფეხბურთი

"ტორპედომ" მდგომარეობა დაძაბა

დინამო - ტორპედო	0:2
ვიტ ჯორჯია - სიონი	1:0
ლოკომოტივი - კოლხეთი	2:0

გუშინ ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე, მე-6 ტურის ცენტრალურ მატჩში, გათამაშების ლიდერმა თბილისის "დინამომ" ქვეყნის ჩემპიონ ქუთაისის "ტორპედოს" უმასპინძლა. გამარჯვების შემთხვევაში ივო შუშაკის შეგირდები ჩემპიონობისთვის ბრძოლაში "ტორპედოს" გზიდან ჩამოიცილებდნენ, მაგრამ მატჩის დასაწყისიდანვე ცხადი გახდა, რომ თბილისელებს ამ ამოცანის შესრულება ძალიან გაუჭირდებოდათ.

სტუმართა რიგებში კარგად გამოიყურებოდნენ ზირაქიშვილი და იონანიძე, რომლებიც, შეიძლება ითქვას, ამ გამარჯვების შემოქმედნი გახდნენ. თავისი უპირატესობა სტუმრებმა გოლებად მეორე ტაიმში აქციეს. 47-ე წუთზე იონანიძემ ჯერ ზირაქიშვილის ზუსტი გადაცემით ისარგებლა და ანგარიში გახსნა, შემდეგ კი დაახლოებით 30 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით წერტილი დაუსვა შეხვედრას. ეს ამბავი მე-80 წუთზე მოხდა. ამის შემდეგ "დინამომ" თამაშის გადარჩენა ვეღარ მოახერხა.

შეხვედრა უაღრესად დაძაბული გამოდგა. მსაჯმა ფეხბურთელებს სამი ყვითელი ბარათი უჩვენა. სტუმართა მწვრთნელი ალექსანდრ შტელინი კი მსაჯთან კამათის გამო აიძულა, ტრიბუნებზე გადაენაცვლებინა.

ეთერ ბესელიას ფოტო

რატი ალექსიძემ "ტორპედოს" მცველებთან ვერაფერი გააწყო.

ალექსანდრ შტელინი - *ქუთაისის "ტორპედოს" მთავარი მწვრთნელი:* "გამარჯვებით გახარებულები ვართ, მაგრამ კიდევ უფრო მოხარული ვიქნებოდით, სტაბილურად კარგად რომ ვთამაშობდეთ. გამარჯვება ნამდვილად დავიმსახურეთ. "დინამოს" აშკარად დიდი პოტენციალი აქვს და ჩვენთვის სიხარულის მომგვრელია იმის შეგრძნება, რომ ასეთი გუნდი დავამარცხეთ. ჩვენ უფრო მონდომებული ვიყავით და გამარჯვებაც მეტოქეზე უფრო გვწყუროდა. კარგი იქნება, თუ ასე გავაგრძელებთ. თუ მსაჯობაც ობიექტური გახდება, ესეც გაგვახარებს".

ივო შუშაკი - *თბილისის "დინამოს" მთავარი მწვრთნელი:* "დღეს არ გამოვიყურებოდით იმ დონეზე, ჩემპიონატის ლიდერს რომ ეკადრება. პირველი დიდი შანსი ვერ გამოვიყენეთ და ეს მეტოქის დამსახურებაა. ჩვენი პოტენციალი ვერ გამოვავლინეთ. არ მინდა, ეს ყველაფერი ნაკრების თამაშს დავაბრალო, მაგრამ როგორც ჩანს, სამი დღე აღდგენისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა და ამან ჩვენს დღევანდელ თამაშს დაღი დაასვა".

დინამო: *გვარამაძე, ხიზანეიშვილი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი და როჩა, კვირკველია (ბობოხიძე), გოგობერიშვილი, ანჩაბაძე, ბურდული (ახალაია), დარასელია, ალექსიძე.*

ტორპედო: *ჭანტურია, ხვადაგიანი, მახვილაძე, თოდუა, ბაბუნაშვილი, კვეტენაძე, იონანიძე, პოროშინი, გამეზარდაშვილი, ზირაქიშვილი (ქუთათელაძე), ჩხეტიანი (ყღენტი).*

მსაჯი: *კ. მესხი.*

გოლები: *0:1, 0:2 - იონანიძე (47, 80).*

გაფრთხილება: *ხიზანეიშვილი, ალექსიძე, ზირაქიშვილი.*

ტურის სხვა შეხვედრებში ლიდერებმა იმარჯვეს და ამით კიდევ უფრო დაძაბეს სატურნირო მდგომარეობა. "ვიტ ჯორჯიამ" საკუთარ მინდორზე ბოლნისის "სიონს" უმასპინძლა და მინიმალური ანგარიშით - 1:0 დაამარცხა. ამ გამარჯვებით ვეტერინარებმა პირველ ადგილზე გადაინაცვლეს. "ლოკომოტივმა" კი ასევე შინ - 2:0 სძლია ფოთის "კოლხეთს". დღეისთვის სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება.

ვიტ ჯორჯია	6	4	1	1	7:3	38
დინამო	6	3	1	2	8:5	38
ლოკომოტივი	6	3	0	3	10:6	34
ტორპედო	6	2	2	2	4:3	34
სიონი	6	2	1	3	5:6	22
კოლხეთი	6	0	3	3	0:11	18

FOX KIDS

საფეხბურთო ჟრიამული „ფოქს კიდსთან" ერთად

გიგა გურასაშვილი

რამდენიმე დღეა, თბილისის უბნებიდან გოგო-ბიჭების ჟივილ-ხივილი, ჟრიამული და ყიჟინა ისმის. რამდენიმე დღეა, საქართველოს სხვადასხვა რეგიონშიც ანალოგიური სურათია. რამდენიმე დღეა, საქართველოს მსგავსად, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სკვერებსა და უბნებშიც განსაკუთრებული გამოცოცხლება იგრძნობა. და მაინც, რა ხდება?! პასუხი ფოქს კიდსშია - ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირებში. ეს გახლავთ ტურნირი, რომელიც მოყვარულ გუნდებს შორის ჰოლანდიაში ფინალურ ეტაპზე გასამგზავრებელ საგზურს იძლევა.

გიორგაძე ბესიკის ფოტო

ტურნირში საბურთალოც ჩაება.

საბურთალოს რაიონის ერთ-ერთ უბანში სახელდახელოდ მოწყობილ სპორტულ მოედანზე გუნდები "ფეოლა", "ქუჩა", "საირმე", მგლები", "ორბიტა", "მხეცები", "სიხარული" და "ბურთზე მონადირეები" ერთმანეთში ნახევარფინალურ საგზურზე ნადირობდნენ. მატჩებს არც ცნობისმოყვარენი აკლდა და არც მშობელთა სახით მოედანს შემოჯარული გულშემატკივარი. თავდაპირველად "ფეოლასა" და "ქუჩას" უხმეს სათამაშოდ. ორივე გუნდი ოსტატურად აგორებდა ბურთს. თუმცა, ამ გორებ-გორებაში ორი ტაიმი ისე მიიწურა, რომ ვერც ერთმა მათგანმა დაწინაურება ვერ შეძლო. დაინიშნა დამატებითი ორი ტაიმი, თანაც, ოქროს გოლამდე, მაგრამ მეკარეები საკუთარ კარს საგულდაგულოდ იცავდნენ. ჯერი პენალტებზე მიდგა. გაიმარჯვეს "ფეოლას" ბიჭებმა.

"ჩემმა შვილმა დაიჩემა, შენ იყავი ჩვენი მწვრთნელიო, - გვეუბნება "ფეოლას" მწვრთნელი ბებური სიხარულიძე. - მეც სხვა რა გზა მქონდა, უარი ვერ ვუთხარი, მით უმეტეს, რომ მეგობრებიც უმაგრებდნენ მხარს. ასე მოვხვდი ამ გაუგებრობაში, თორემ ჩემი მწვრთნელობა სად გაგონილა. ბავშვებზე მეტად მოყვარული მე ვარ, მაგრამ რა მექნა..."

სხვათა შორის, ფოქს კიდსის თასის გათამაშების საპატიო თავმჯდომარე კახი კალაძეა. ვინ იცის, იქნებ, კალაძის მსგავსად, რომელიმე მათგანი დიდ ფეხბურთსაც ეზიაროს.

პირველი შეხვედრის შემდეგ სხვათა თამაშის ჯერიც დადგა. თუმცა, დარჩენილ სამ შეხვედრაში საქმე დამატებით დრომდე აღარ მისულა. "მგლები" "საირმეს" დაერივნენ. მეტიც, დაიქადნეს კიდეც, ფოქს კიდსის თასს ჩვენ დავისაკუთრებთო. "მხეცებმა" "ორბიტას" ვერ შემოუარეს, ხოლო "ბურთზე მონადირეებთან" დაპირისპირებაში სიხარული "სიხარულმა" იგემა.

ბიჭების შემდეგ მოედანი გოგოებს დაეთმოთ. ბიჭების ჭიჭყინი გოგოების წივილ-კივილმა შეცვალა. ერთმანეთის პირისპირ ქართულ-გერმანული სკოლის "ანი-ცეტის" აღსაზრდელები და "იმედი" წარსდგნენ. თუმცა, მათი დაპირისპირება უფრო ამხანაგური შეხვედრა იყო. საქმე ის არის, რომ "იმედი" ნაძალადევის რაიონის გუნდია, ხოლო "ანი-ცეტი" - საბურთალოსი. სხვადასხვა რაიონის გუნდების დაპირისპირება კი მხოლოდ ფინალურ სტადიაზეა შესაძლებელი. რაკი საბურთალოს "ანი-ცეტის" სახით ერთადერთი გუნდი ჰყავს, მათ ავტომატურად დარჩათ რაიონის ჩემპიონობა. "ნახალოვკელებმა" კი "იმედს" სპარინგ-პარტნიორობა გაუწია. გამარჯვებაც მათ დარჩათ.

"ყველაფერი სპონტანურად მოხდა. ბავშვებმა რუსთავი 2-ზე ფოქს კიდსის სარეკლამო რგოლი ნახეს და მოსვენება დაკარგეს - ჩვენც გვინდა თამაშიო. არადა, არც ერთ მათგანს აქამდე ფეხბურთი არ უთამაშია, - გვამცნობს ერთ-ერთი მონაწილის მშობელი და მწვრთნელი თამაზ ქურციკიძე.

რუსთავი 2-ისა და მისი პარტნიორი რეგიონული ტელევიზიების ეთერში გასულმა სარეკლამო რგოლებმა სხვადასხვა რეგიონის მოზარდებსაც დააკარგვინა მოსვენება და მთლიანობაში ფოქს კიდსის აქციაში აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებად დაყოფილმა რეგიონებმა, მათ შორის, თბილისის ზონის, 289 გოგობიჭს მოუყარა თავი. გუშინ მათმა ერთმა ნაწილმა ბურთი მარტვილშიც გააგორეს და კახეთშიც. დღეს ჩაერთვებიან ასპარეზობებში სამტრედიელები და ბოლნისელები. რაც შეეხება თბილისს, უფრო სწორად, საბურთალოს რაიონს, მათ დღეს ნახევარფინალები და ფინალი ელით. ხვალ კი გლდანის რაიონი ჩაიბარებს ესტაფეტას.

კალათბურთი

NBA - ეს ფანტასტიკაა

დალასი - პორტლენდი 103:125

(სერიის ანგარიში 3:3)

ძნელია სხვა ეპითეტი მოუძებნო ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციას. ეს, მართლაც, ფანტასტიკაა. თავბრუდამხვევი ტემპითა და საჰაერო ტრიუკებით გაჯერებული. რა ფოკუზიც პორტლენდმა დალასში აჩვენა, მართლაც, ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება. პორტლენდმა სერიაში ანგარიში გაათანაბრა და ისტორიაში შესვლასთან ერთ ნაბიჯზეა. საბონისის გუნდი მესამეა NBA-ის ისტორიაში, ვინც მოახერხა და სამმატჩიანი დეფიციტი აღმოფხვრა ანუ აგებდა 0:3-ს და სერიაში ანგარიშის გათანაბრება შეძლო. თუმცა, ანალოგიური მიღწევის შემდეგ 1951 წელს "ნიუ-იორკ ნიქსმა", ხოლო 1994 წელს "დენვერ ნაგეთსმა" სერიაში გამარჯვება ვერ მოახერხეს. ამდენად პორტლენდს შანსი აქვს, ისტორიაში შევიდეს.



REUTERS

ალენ აივერსონი (მარცხნივ) საუკეთესო იყო.

შესანიშნავად ითამაშა არვიდას საბონისმა. ბებერმა ლიტველმა გიგანტმა 12 წუთში 16 ქულას, 8 მოხსნას, 1 გადაცემას და 1 დაფარებას მოუყარა თავი. ხოლო რენდოლფი ფარქვეშ შეუდარებელი იყო (21 +10 მოხსნა). პორტლენდი - უაღრესად ორგანიზებული შეტევაში - დაცვაში ცდილობდა, გასაქანი არ მიეცა დალასის სახელგანთქმული კვარტეტისთვის - ნეში (21), ფინლი (20), ნოვიცკი, ვან ექსელი და პორტლენდს ეს გამოუვიდა კიდეც. ნოვიცკიმ 11 ცდიდან მეტოქის კალათში მხოლოდ ორჯერ მოათავსა ბურთი, მაგრამ პორტლენდის უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ ნოვიცკის წარმატებითაც რომ ეთამაშა, დალასს მაინც ვერ უშველიდა. თამაშის მსვლელობისას "ბლეიზერსის" უპირატესობა 32 ქულასაც აღწევდა.

ფილადელფია - ჰორნეთსი 107:103

(სერიის ანგარიში 4:2)

ალენ აივერსონის გუნდმა, როგორც იქნა, დაძლია ამბიციური "ჰორნეთსის" წინააღმდეგობა. აივერსონმა (45) გადამწყვეტ შეხვედრაში ყველაფერი თვითონ გააკეთა. მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე ანგარიში საყაიმო 101:101 იყო და ბოლო ექვსი ქულა გუნდს აივერსონმა შესძინა. კარგად ითამაშეს ფილადელფიელმა ვან ჰორნმა (18 +18 მოხსნა) და ახალი ორლეანის გუნდიდან ჯამალ მაშბერნმა (36).

დეტროიტი - ორლანდო 103:88

(სერიის ანგარიში 3:3)

დეტროიტელმა ჩონსი ბილაპსმა (40) 7 სამქულიანი ჩააგდო, მაგრამ წარმატების გასაღები მაინც დაცვაში ორგანიზებული თამაში გახდა. დეტროიტს ეძლევა შანსი, გახდეს მეშვიდე გუნდი NBA-ის ისტორიაში, 1:3-ის შემდეგ სერიაში გამარჯვება მოახერხა. ტრეისი მაკგრეიდის (37 +11 მოხსნა) შეჩერება დეტროიტმა ვერც ამჯერად მოახერხა, მაგრამ ფარქვეშ შეუდარებელი იყო ბენ უოლასი (20 +17 მოხსნა, +5 დაფარება, +4 ჩაჭრა), რამაც განაპირობა კიდეც მატჩის საბოლოო შედეგი.

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ა ც ხ ა დ ე ბ ს

სტუდენტთა მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისათვის.

ფაკულტეტზე მომავალი სტუდენტების მიღების პროცესი დასრულდება 2003 წლის 10 ივნისს.
ფაკულტეტზე ჩარიცხული სტუდენტთა სია გამოქვეყნდება არა უგვიანეს ა.წ. 15 ივნისისა.
საბუთების მიიღება 2003-2004 სასწავლო წლისათვის დამთავრდება ა.წ. 15 მაისს.
მიღების წესები იხილეთ www. dphss.org ან მიაკითხეთ ინფორმაციისათვის ფილოსოფიის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამდივნოს.
მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის 45, II სართული. ტელ. 223742

ქართულ ლიგაში გაწევრიანების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 91-07-23; 91-07-45; ან მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: წერეთლის გამზირი 118 (ყოფილი "კოსმოსი"-ს შენობა) ყოველდღე 9⁰⁰-დან 20⁰⁰-მდე.
"ქართული ლიგა" (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი)

თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს რექტორის თანამდებობის ახალი ვადით დასაკავებლად

არჩევნებში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები, სათანადო საბუთებით, საორგანიზაციო კომიტეტის მიერ მიიღება კონკურსის გამოცხადებიდან ორი კვირის განმავლობაში. დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ საორგანიზაციო კომიტეტს მისამართზე:

თბილისი, ქეთევან წამებულის ქ. 55.
ტელეფონი: 94 31 60

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური" გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათითითანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის N25 ტელ:29-48-61

ბინები

იყიდება

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ. ფასი: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.

იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაუზე კეკელიძის №25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბარით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000 $. 23 40 68, 8(93) 32 32 74

იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. ტელ 29-17-53, 899 548425

იყიდება 1500 კვ.მ. ხეხილიანი საგარაკე მიწის ნაკვეთი. შემოღობილი. არის სარწყავი წყალი, დენი, კარგი გზა, სახლის ფუნდამენტი. თბილისიდან 20 კმ-ში გომბორის გადასახვევამდე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-11-38

იყიდება!
სასწრაფოდ, ოროთახიანი (გადაკეთებული 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი (3.10მ) კუთხის ბინა 9(9) საბურთალოზე, ს. ზაქარაიძის ქუჩაზე(მ. "გოცირიძე"). საერთო ფართი135 კვ.მ. 3 აივნით, 2 ტუალეტით, 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/ა. ფასი შეთანხმებით.
ტელ: 39-53-41 69-94-27 ბელა.

იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გოგორდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით "რუსთავი 2"- ის უკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.

იყიდება 3-ოთახიანი გარემონტებული კუთხის ნათელი ბინა კაპიტალურ ავტოფარეხთან ერთად. წერეთლის გამზირზე (გამოფენის პირდაპირ) 7(8). ფასი 22 000$. ტელ: 33-25-20.

განვადებით შევიძენ 2 ან 3 ოთახიან ბინას 3 000 დოლარის წინასწარ გადახდით. ტელ: 77-73-54, 77-75-73 კახა.

იყიდება დოლიძის ქუჩაზე 5-ოთახიანი ნათელი ბინა 2(8) დარჩენილია კოსმეტიკური სამუშაო, ორი აივნით, დიდი სათავსით, მანქანის სადგომით. ფასი: 32 000$. ტელ: 23-11-38

იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. 29 17 53, 8(99) 54 84 25

საშუამავლო ფირმა "კახი 98" დაგეხმარებათ ბინების ყიდვა, გაყიდვა, გაქირავება, დაგირავებაში. ტელ: 23-70-91, 877 710590.

საშუამავლო ფირმა "კახი 98" ისესხებს და გაასესხებს თანხებს 5%-ში, იპოტეკის წესით. ტელ: 23-70-91, 877 710590.

ბინები

ქირა, გირაო

ქირავდება!
სახლი აღმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ. ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097

ქირავდება 4-ოთახიანი ახალი ბინა მეტრო დელისთან, ზაქარაიძის ქ.8-ში ("პარლამენტის სახლში") მდებარე ახლადაშენებული სახლის მე-10 სართულზე, კარგი რემონტით, საერთო ფართი 160 კვ.მ. 3 საძინებლით, 3 სველი წერტილით, წყლით, გაზით. 4 აივნით. ბინა ცარიელია, გამოდგება საოფისედაც. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39.74.56 მამუკა.

მანქანები

იყიდება მერსედესი 123-200 D 1983 წლის გამოშვება დიზელზე, კარგ მდგომარეობაში. ფასი: 1900. 877 730866

იყიდება გოლფი-3 1992 წლის. 1,8 ძრავით, 2 კარით, ლურჯი ფერის. ფასი: 2800$. 893 347536.

სწავლება

ლონდონში სტაჟირებული სპეციალისტი გთავაზობთ მხატვრულ ლიტერატურას, სამეცნიერო და სხვა სახის ნაშრომების მაღალი ხარისხის თარგმანებს. ქართულ-ინგლისურ, ინგლისურ-ქართულ, რუსულ-ინგლისურ ენებზე. ტელ: 96-64-12, 95-2034, 893 219442

ვამზადებ აბიტურიენტებს ბიოლოგიასა და გეოგრაფიაში



კომპანია "InterCor .comServis" გთავაზობთ შემდეგი სახის კომპიუტერულ მომსახურებას:

ინსტალაცია/მოწყობილობების გაუქმება, კომპიუტერის კონფიგურაცია კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, სისტემის ოპტიმიზაცია, ინტერნეტში ჩართვა, ადგილობრივი ქსელების დაყენება და მომსახურება, მათი მუშაობის უზრუნველყოფა, ინდივიდუალური პროგრამების შედგენა. ყველა სამუშაო ჩატარდება ადგილზე, ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაშიც.
ტელ: 92 17 74, 98 22 87, 92 02 49

ინდივიდუალურად სამედიცინო უნივერსიტეტისა და თსუ-ს პროგრამებით, ასევე მოსწავლეებსა და სტუდენტებს. მეტრო "რუსთაველთან". 93 88 22, 98 59 60

შევასწავლი გერმანულ ენას. 32 03 71, 8(99) 29 88 05

სხვადასხვა

მასაჟის კურსების შესწავლა ქალბატონებისათვის. კლასიკური და ჩინურ -იაპონური. ტელ: 32-11-17

იყიდება ქალის უხმარი, ხორცისფერი ფეხსაცმელი, გერმანული, ზომა 40, დაბალ ქუსლზე. 39-75-68 ქეთი.

სარეკლამო სააგენტო სამუშაოდ იწვევს თანამშრომლებს. ცნობებისათვის დარეკეთ: 55 21 02, 55 21 03

კაზინო "მუმიას" ესაჭიროება კვალიფიციური დილერები. მისამართი მეტროსადგურ "ვარკეთილი"-ის თავზე. ტელ: 899 216566

გთავაზობთ უნიკალურ **ფრანგულ კოსმეტიკას**, რომელიც შესანიშნავია აგრეთვე მოზარდებისთვისაც. **სამაზაფხულო ფასდაკლება**. ჩაწერა წინასწარ ტელ: 91-09-20, ქეთინო

TV პროგრამა 4 მაისი

რუსთავი - 2

08.00 კლასიკა
09.00 კურიერი
09.20 დრაკონთა მომთვინიერებლები
10.00 ჯადოქარი
10.45 საბავშვო ფილმი
12.00, 15.00 კურიერი
12.20 სიმფსონები
12.50 მხ.ფილმი
15.20 ველური ამბები
16.10 მხ. ფილმი
17.00 სერიალი „ალოლმგო"
18.00, 01.00 კურიერი
18.20 სერიალი „ალოლმგო"
19.00 მხ. ფილმი
21.00 კურიერი
21.45 ჩვენი ეზო
22.00 60 წუთი
23.00 „ჯეიოსელის კინოკლუბი" - „ამერიკული გული" 877 45-79-25 ჯეფ ბრიჯესი, ედვარდ ფერლონგი, „კვინი ჩრდილოეთიდან" 877 45-79-26, სკოტ ულრიჩი, ნატაშა ხენსტრიჯი, „ნაზი სიყვარული" 877 45-79-27 დანიელ ოტი, ემანუელ ბეარი.
01.15 მხ.ფ. „ომის ხელოვნება" მთ. რ-ში: უესლი სნაიპსი.
03.15 კლასიკა.

პირველი არხი

08.00 მოსამგე
08.15 დოკ. სერიალი „მსოფლიოს ქალაქები"
08.30 მხ.ფილმი „სტივის ხერხები"
10.00 „დილის პაემანი"
11.05 „ამბები ჩვენზე"
11.35 მოგზაურობა სასიტყვეთში
12.05 „სპა" 12.35 „პრეს-სტუდია"
13.25 მოსკოვი-თბილისი
13.55 ღამის ჯაზი
14.25 არათბილისური ამბები
15.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე
15.15 სატ. სპექტაკლი „ჩემი სახელი საიდან იცი"
16.00 საქ. ჩემპიონატის ფინალური მატჩი მინიფეხბურთში. შესვენებისას დოკ. სერიალი „ყველანი ორგიტაზე"
17.25 საკვირაო გამოფენა
17.35 ქალი ქალი
18.00 ტაიმ-აუტი
18.20 „ჩემპიონი"
18.50 ეკოდაიჯესტი
19.25 „ჩვენი მისამართია"
20.00 ტაიმ-აუტი
20.55 მუსიკალური ოქტაგონი
21.45 „ამბოგენ"
22.20 მეალომანია
22.55 სატ. ფილმი „ლახტის გაკვეთილი"
23.30 „არტ-მოგილი"
00.00 ტაიმ-აუტი
00.30 მხ. ფილმი „ქამელეონი".

პირველი სტერეო

10.00 ტოროლა
13.00 გან. ათეული
13.45 ფილმი
15.45 სოლო
16.00 ფილმი „საგრინა" მთ.რ-ში ჰარისონ ფორდი, ჯულია ორმონდი.
19.15 ქართული მუსიკა
19.50, 20.15 უცნობი
21.15 რუსული მუსათეული
22.30 პროფათეული
23.00 აბა გამოიცანი მელოდია
00.00 ფილმი გრავო „შიშის ოთახი" მთ.რ-ში ჯოდი ფოსტერი.
01.40 ფილმი ღამურა „ურტყი ძვალში" მთ. რ-ში ანტონიო ბანდერასი.
03.45 პაუზის გარეშე

მეორე არხი

19.00 მხიარული კარუსელი
19.30 დიზაინი
19.50 მრავალსახეობა
20.30 ვიცი
21.00 დოკ. ფილმი
22.00 შვიდეული
23.00 მხ. ფილმი „ღარიბ შეყვარებულთა ქრონიკა"

იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.20 აღსავალი
08.25, 10.15, 12.30, 21.55, 22.50 მუსიკა
08.30 ახალი ამბები
09.00 მხ. ფილმი „ახლა კი გატონეგო და ქალბატონეგო"
10.20 მულტფილმი
12.30 გადაცემა - მურადა (განმ.)
13.00 მუსიკალურ ტალღაზე
17.00 ოპერა
19.30 დოკ. ფილმი
20.00 მხ. ფილმი „ხელი"
22.00 ტელე-სინე-ვიდეო
23.00 მხ.ფ. „საშობაო ღვეზელი"
01.00 ღამის ფილმი

ევრიკა

11.00 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი
12.00 თეატრალური შეხვედრები
13.35 თბილისური ოჯახები
14.00 მუსიკალური პაუზა
14.25 მხ. ფილმი „ჩვილის გასეირნება"
16.00 - 18.00 რელიგიის საათი
18.00 დოკ. ფილმი
19.00 კითხვების კორიანტელი
19.20 ცეროდენა ვარსკვლავები
20.00 შეხვედრა ვარსვლავთან
20.20 მოგზაურობა გავშვობაში
20.40 თავისუფალი მიკროფონი
20.50 თვვენი აზრით
21.00 „კვირის ვესტი"
22.00 „იდენ-ტვ"
22.30 საოცარი პირამიდა
23.30 ტელესერიალი „ყავახანა"
23.45 მხ. ფილმი „ნათლია 3".

მესხრე არხი

09.30 დღის ამბები
09.50, 11.50, 17.40, 18.25, 19.50, 21.50, 23.45 მუსიკა
10.00 სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო"
10.25 მულტსერიალი „ბანანების ზოოპარკი"
11.00 „საუბრები სტუდიაში"
12.00 მხ. ფილმი „შვიდი ძმის შვიდი საცოლე"
15.15 მხ. ფილმი „მგზნებარე გონება"
17.20 მულტფილმი „ათი მცენგა"
18.00 დოკ. ფილმი „ექსტრემალური სპორტი" მე-3ს.
19.00 „ბელისიმო".
19.30 „მსოფლიო ფეხბურთი"
20.00 „ოსტატები". მფრინავი.
20.40 მხ. სერიალი „რაც გინდა აკეთე" მე-2 ს.
22.00 მარიონეტების ფილმი „ყოჩაღები". „ტრუბა"
22.15 „ლეო და გეო"
22.30 მხ. ფილმი „ცივი გული"
00.20 მხ. ფილმი „მწვანე მონაკვეთი".

იმედი

11.00, 00.20 ახალი ამბების დაიჯესტი
11.05, 01.20 იმედის მელოდიები
12.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ქრონიკა
12.10 ანიმაციური ფილმი „ფანტომეტა"
12.30 ახალგაზრდული სერიალი „უკიდურესი ზღვარი"
13.30 „არტ-ბულვარი" შოუ-ბიზნესი
13.45 თოქ-შოუ „არჩევანი თქვენ"
15.15 სპორტ. პროგრამა „ასი"
15.35 ქართ. ფილმი „სამანიშვილის დედინაცვალი"
17.05 დოკ. სერიალი „ბრძოლა გადარჩენისათვის"
18.00 სერიალი „იუდას ქალი"
19.30 სერიალი „შტოკინგერი"
20.30 თამაში „ლარის მახე"
21.00 ქართ. სერიალი „ცხელი ქაღლი"
22.40 „წარსულის ერთი კვირა" მე-8 ს.
23.05 „მუღამები"
23.30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. „ინტერი"-"ლაციო" 1-ლი ტ.
00.30 ფეხბურთი. მე-2 ტაიმი

აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.25 კომედია „საუკეთესო მეგობრის ქორწილი"
11.30 **Слово** (ავტორი თ.დუმბაძე)
12.10 „სამყარო მშვენიერია"
12.15 სათავგდასავლო ფილმი „ალმასის კუნძული"
13.50 მელოდრამა „წყნარი ოკეანის ისტორია"
16.10 „სამყარო მშვენიერია"
16.15 მულტფილმი „ნილგბი"
16.55 ფილმი-კატასტროფა „იდეალური შტორმი"
19.00, 22.00, 00.00 „დღეს"
19.20 „სამყარო მშვენიერია"
19.25 დოკუმენტური ფილმი
20.15 თრილერი „გედნიერი ბილეთი"
22.20, 00.20 „Новости в воскресенье"
22.40 „Величественное наследие"
23.10 დოკუმენტური ფილმი
00.40 მხატვრული ფილმი „აფიორა"
03.20 მუსიკა
03.40 მელოდრამა „ქალბატონის პორტრეტი"

VII არხი

16.50 „ლა-ლა-ლა"
17.40 სასოფლაცხოვრებო ტექნიკა
18.00 ევროპული ფეხბურთი
18.45 „აჩიკუდა"
19.50 ავტოტრეკინგი
20.20 კომპიუტერული თამაშები
20.30 „კინოკლუბი „ - „ვინ გაიცურა გაჭია როკერი".
22.00 აუდიო-ვიდეო-ტელე
22.35 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" -იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა
22.55 კომპიუტერული ტექნიკა
23.35 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" -ესპანეთის ჩემპიონატი.

1 ОРТ

07.10 Сериал „Китайский связной"
08.00, 11.00, 15.00, 19.00, 00.00 Новости
08.10 Сериал „Приключения Геркулеса"
09.00 Сериал „Твинисы"
09.20 „Армейский магазин"
09.50 Дисней-клуб: „Легенда о Тарзане"
10.10 „В мире животных"
11.10 „Непутевые заметки"
11.30 „Пока все дома"
12.05 „Дог-шоу"
12.50 „Сканер"
13.20 „Короли смеха". Ю.Никулин, ч. 2
13.50 „Клуб путешественников"
14.35 Дисней-клуб: „Геркулес"
15.10 „Властелин вкуса"
16.05 „Кумиры". Татьяна Иванова
16.35 „Слабое звено"
17.40 „Ералаш"
17.55 Док.сериал „Живая природа"
19.15 „Юбилейный вернисаж Ильи Резника"
21.05 Боевик „Миссия невыполнима"
23.10 „Просто смех!"
00.10 Бокс. Оскар де ла Хойа - Йори Бой Кампас
01.05 Боевик „Ураган"

РТР

07.00 Фильме-сказка „Капитан „Крокус"
08.05 Мультфильм „Двенадцать подвигов Астерикса"
09.20 Русское лото
10.05 „ТВ Бинго-шоу"
10.35 Местное время. Вести-Москва. Неделя в городе
11.15 „Утренний разговор"
11.40 „Городок". Дайджест
12.10 Комедия „Приходите завтра"
14.00 „Сам себе режиссер"
15.00, 21.00, 06.00 Вести
15.20 „Вокруг света"
16.15 „Диалоги о животных"
17.20 „Аншлаг"
18.20 Боевик „Последний киногерой"
20.50 В „Городке"
21.25 Боевик „Захват 2"
23.25 Праздничный концерт „Николай Басков и его друзья"
02.15 Чемпионат мира „Формула-1". Гран-При Испании.
04.20 Сериал „Семь дней"

НТВ

07.50 Фильм-детям „Голубое дерево"
08.40 „Вкусные истории"
09.00, 11.00, 12.00, 13.00, 16.00, 19.00, 20.00 Сегодня
09.05 Комедия „Свинарка и пастух"
10.25 Лотерея „Шар удачи"
11.05 Сериал „Улицы разбитых фонарей"
12.05 „Растительная жизнь"
12.40 „Вы будете смеяться!"
13.05 „Весь Жванецкий: после вчерашнего..."
14.05 Мелодрама „Американская дочь"
16.05 „Своя игра"
17.15 Играем в „Кено"
17.20 „Экстремальный контакт: путешествие в логово барракуды"
17.45 Принцип „Домино". „Обратная сторона лекарств"
19.05 „Национальная безопасность: интеллект на вывоз".
20.30 Сериал „Улицы разбитых фонарей"
21.50 Комедия „Ландыш серебристый"
23.40 Триллер „Окно в спальне"
01.50 Сериал „Клан Сопрано"
02.40 Журнал лиги чемпионов
03.10 „Ночь"

პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის საგენტო "ინფორზავრის" ნებართვით

აფიშა

საკონცერტო დარბაზები

კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი
ქართული სიტყვიერების საგალობლების ფესტივალი
დას: 19:00 სთ

თეატრები

ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი
გაეტანო დონიცეტი "სიყვარულის ნექტარი", ოპერა ორ მოქმედებად
დირიჟორი გელა ფარჩუკიძე
დას: 12:00 სთ

თავისუფალი თეატრი
"პროვოკაცია", რეჟ. ავთანდილ ვარსიმაშვილი
დას: 19:00 სთ; ფასი 3,5ლარი

თეატრალური სარდაფი
"თავისუფალი სიყვარული" რეჟ. ციცინო კობიაშვილი
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

პანტომიმის თეატრი
"კრიმანჭული", რეჟ. ამირან შალიკაშვილი
დას: 17:00 სთ; ფასი 3 ლარი

სამეფო უბნის თეატრი
"ჰიპი", რეჟ. დათო საყვარელიძე
დას: 14:00 სთ; ფასი 4-7 ლარი

საგამოფენო დარბაზები

არტ ორიენტი
"აბრეშუმის გზა"

ეროვნული გალერეა
გივი თოიძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

ზარდული
ქართული სახლის დიზაინისა და არქიტექტურის თემაზე შექმნილი ფოტოგამოფენა

კინოთეატრები

„ამირანი„
"ფრიდა"
დას: 13:30; 22:00 სთ; ფასი 5,6 ლარი
"გაიანალიზე-2"
დას: 16:00 სთ; ფასი 6,7 ლარი-
"აგენტი ჯონი ინგლისში"
დას: 18:00; 20;00 სთ; ფასი 7,8 ლარი

„ელისო„
"ძალიან მაგარი ქალი"
დას: 15:00 სთ; ფასი 5 ლარი
"დეარ დევილი"
დას: 17:00; 21:00 სთ; ფასი 5 ლარი
"მზის ცრემლები"
დას: 19:00 სთ; ფასი 7 ლარი

„რუსთაველი„
"მზის ცრემლები"
დას: 17:00; 21:30 სთ; ფასი 5,9 ლარი
"დეარ დევილი"
დას: 15:00; 19:00 სთ; ფასი 5,7 ლარი

რატომ არ მოსწონთ ჰამბურგი ვეგეტარიანელებს



ჰამბურგერი

ნიუ იორკის ცხოველთა დაცვის საზოგადოებამ ნიუ იორკის შტატში მდებარე ქალაქ ჰამბურგის ადმინისტრაციას მიმართა დასახმარებლად. ცხოველთა დაცვის საზოგადოების წევრები ქალაქის სახელის გადარქმევას მოითხოვენ. მათ ახალი სახელიც მოფიქრებული აქვთ – ვეგეტარიანბურგი. საზოგადოება მიიჩნევს, რომ ქალაქის ამჟამინდელი სახელწოდება უბედურ ცხოველთა კვების ობიექტებად გამოყენების პროპაგანდას უწყობს ხელს. ჯერ არავინ იცის, დაეთანხმებიან თუ არა ქალაქის მცხოვრებლები ამ მოთხოვნას, ისინი ხომ ძალიან ამაყობენ თავიანთი ქალაქით და მისი ისტორიით. ადმინისტრაციამ ზრდილობიანად უარყო ცხოველთა დამცველების ექსცენტრული მოთხოვნა, მიუხედავად იმისა, რომ აქტივისტები ე.წ. საქველმოქმედო აქციასაც დაჰპირდნენ მოსახლეობას, რაც ქალაქის სკოლების ბუფეტების მომარაგებას ითვალისწინებდა 15 ათასი დოლარის ღირებულების ვეგეტარიანული კატლეტებით.

ამერიკის ჰამბურგი ჰამბურგერების სამშობლოდ ითვლება. აქაურმა მზარეულებმა თავიანთ კლიენტებს ჰამბურგერი პირველად 1812 წელს შესთავაზეს. რაც შეეხება ქალაქის სახელწოდებას, ჰამბურგი ერთადერთი ამერიკული ქალაქი არაა, რომლის სახელიც არავეგეტარიანულ ასოციაციებს და ვეგეტარიანელთა რისხვას იწვევს. მაგალითად, შეერთებულ შტატებში არის ქალაქი ფიშკილი (Fishkill – თევზების არხი, ეს სიტყვა ამავე დროს "თევზების ხოცვასაც" ნიშნავს), რომელიც 1600 წელს აქ ჩასულმა ჰოლანდიელებმა დააარსეს; ცხოველთა დამცველებმა თავის დროზე ამ ქალაქის სახელის გადარქმევაც მოინდომეს და მოითხოვეს - ფიშსეივი (Fishsave - გადავარჩინოთ თევზები) დავარქვათო. აქტივისტების მოთხოვნა არც მაშინ დააკმაყოფილეს.

მწეველების ახალი გასაჭირი

ქალაქ ნიუ იორკის ბარებსა და რესტორნებში არამარტო მწეველ სტუმრებს, არამედ ამ დაწესებულებების თამბაქოს მოყვარულ მფლობელებსაც მძიმე დრო დაუდგათ. თუკი მარტში დაწყებული ანტინიკოტინური კამპანიის ფარგლებში საჯარო დაწესებულებაში სიგარეტის მოკიდებისთვის სასჯელი პირობითი ჯარიმის გამოწერით იფარგლებოდა, გასული კვირიდან ზომები გამკაცრდა: პირველი დარღვევისთვის ჯარიმა 200-დან 400 ამერიკულ დოლარამდეა, მეორედ გაბოლებისთვის - 500-დან 1000 დოლარამდე, ხოლო ამ საქმეზე მესამედ დაჭერილი მწეველი 2 ათას დოლარამდე თანხას უნდა შეელიოს.

როცა "ბოროტმოქმედი" დაწესებულების მფლობელია, მესამე დარღვევა მისთვის განსაკუთრებით სავალალო იქნება – თუკი მის ბარსა თუ რესტორანში სამივე აკრძალული სიგარეტი ერთი წლის განმავლობაში მოიწია, მან შეიძლება ლიცენზიაც კი დაკარგოს. ამ დროს, თუ მის სამზარეულოში დიდი და მსუქანი ვირთხა იპოვნეს, მას 200-დან 2 ათასამდე დოლარის გადახდა მოუწევს – ალბათ, ვირთხის ზომა-წონას გააჩნია.

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

ბრიჯი

გურამ ბერიშვილი

N5

♠ D 8 7 4
♡ A V 10 9
◇ K 7 6 5
♣ 10

♠ 6 5 2
♡ 7 6 5
◇ 8
♣ A V 8 6 5 3

N W E S

♠ V 10
♡ K 8 4 3 2
◇ D 10 9 4
♣ 4 2

♠ A K 9 3
♡ D
◇ A V 3 2
♣ K D 9 7

შემოთავაზებული იყო მოსწავლეთა ევროპის ჩემპიონატიდან ასაკით ყველაზე პატარების მიერ გათამაშებული ხელი. N-ის ადგილზე ლოტან ფიშერია, S-ის ადგილზე ელინარ არგელაზი. მათ მცირე შლემი, 6♠ შეუკვეთეს. გამთამაშებელია ელინარ არგელაზი (S).

გათამაშება გაადვილდა, რადგან W-მ წამოიწყო ჯვრის A-თი და გააგრძელა აგურით, რითაც თავისი პარტნიორის D დააჭერინა გამთამაშებელს. ამ წამოწყების შედეგად გამთამაშებელმა ფაქტიურად უკვე იცის ვითარება, ჯვარი გაირკვა და აგურიც შედარებით ნათელია.

	W	N	E	S
1	♣A*	♣10	♣4	♣7
2	◇8	◇5	◇D	◇A*
3	♠2	♠4	♠V	♠A*
4	♠5	♠7	♠10	♠K*
5	♠6	♠D*	♡2	♠3
6	♡5	♡A*	♡3	♡D
7	♡6	♡V	♡K	♠9*
8	♣3	◇6	♣2	♣K*
9	♣5	♡9	♡4	♣D*
10	♣6	◇7	◇4	◇V*
11	♣8	◇K*	◇9	◇2
12	♡7	♡10*	♡4	◇3
13	♣V	♠8*	◇10	♣9

პირველი სვლა რომ სხვა ყოფილიყო, გეგმა მაინც იგივე დარჩებოდა. საჭიროა გულის K-ს მოკვლა და გულზე დასაკარგი აგურის ჩატანა.

აღწერილი ხელი გათამაშდა ისრაელისა და ირლანდიის გუნდების შეხვედრისას. ეს შეხვედრა მოიგო ისრაელის გუნდმა ანგარიშით 25 - 0.

	ჩვეულებრივი	კონტრირებული	რეკონტრირებული
ჯვარი ან აგური	20	40	80
გული ან ყვავი	30	60	120
უთულფო			
პირველი	40	80	160
შემდეგი	30	60	120

ამ ცხრილში მოტანილია ქულები რომელსაც იღებს წყვილი ყოველ აღებაში ექვსზე ზემოთ შეკვეთილ და შესრულებულ კონტრაქტში.

მაგალითად, თუ შეკვეთილია 2 უთულფო და აღებულია 8 (6 + 2). წყვილი იღებს 70 ქულას (40 + 30). თუ ეს შეკვეთა კონტრირებული იყო, მაშინ 140 და თუ რეკონტრირებულია 280.

თუ შეკვეთილი იყო 2 უთულფო და აიღეს 9, ანუ დანაპირებზე ერთით მეტი, მაშინ ამ დამატებითი აღებისათვის ქულები მეტია. ამის ცხრილია

	non vulnero	vulnero
ჩვეულებრივი	როგორც შეკვეთილი აღება	როგორც შეკვეთილი აღება
კონტრირებული	100	200
რეკონტრირებული	200	400

მაგალითად, თუ შეკვეთილი იყო 2 უთულფო და ავიღეთ 10, ქულები შემდეგნაირად დაითვლება 40 + 30 შეკვეთილის, ორი დამატებითი აღებისათვის 30 + 30. ესე იგი სულ 130 ქულა, მაგრამ გეიმი შესრულებულად არ ჩაითვლება და პრიზი არ იქნება, რადგან შეკვეთილით მხოლოდ 70 ქულაა.

თუ 2 უთულფო კონტრირებული იყო მაშინ 80 + 60 + 100 + 100 = 340 და გეიმიც ჩაითვლება, რადგან შეკვეთილით 140 ქულა მივიღეთ. რეკონტრირებული 160 + 120 + 200 + 200 = 680.

კიდევ უფრო მეტი ქულებია თუ ხელის წინ იყო გეიმი შესრულებული. ამ ვითარებას ევროპულ ენებში აღნიშნავენ ლათინური vulnero-დან ნაწარმოები სიტყვებით. რუსები ზონას ხმარობენ (გადასახლებას და საპყრობილეს არ გაგონებთ). vulnero-ს ქართული შესატყვისია მოწყვლადი, მაგრამ არ ვიცი რაოდენ გამოსადეგია იგი ბრიჯისათვის. ასეა თუ ისე ტურნირებზე ყოველ დარიგებას თან ახლავს მითითება, თუ რომელი წყვილია ამ მდგომარეობაში, რაც მიღწევის შემთხვევაში ქულებს საგრძნობლად უმატებს, მაგრამ დაკარგვის შემთხვევაში კიდევ უფრო საგრძნობია დანაკარგი, ამიტომაც ჰქვია მას vulnero.

	non vulnero	vulnero
ჩვეულებრივი	50	100
კონტრირებული		
პირველი	100	200
ყოველი შემდგომი 2-დან	200	300
ყოველი შემდგომი 3-ის ზემოთ	300	300
რეკონტრირებული		
პირველი	200	400
შემდგომი	400	600

კონტრაქტის შეუსრულებლობა აძლევს მოწინააღმდეგეს შემდეგ ქულებს.

პრემიალური ქულების ცხრილი	non vulnero	vulnero
შეკვეთილის	50	50
კონტრირებულის	100	100
რეკონტრირებულის	150	150
გეიმისათვის	250	450
მცირე შლემი	500	750
დიდი შლემი	1000	1500

ეს ყველაფერი შესაძლოა რთულად მოგეჩვენოთ, მაგრამ პრაქტიკა გვარწმუნებს, რომ ამის ათვისება არც თუ ისე ძნელია.

N6

♠ K 9 7
♡ A D 9 6 4
◇ D 5 3 2
♣ 6

♠ 6 4
♡ V 8 7 5 3
◇ 7 4
♣ 10 9 5 3

N W E S

♠ D 3
♡ K 10
◇ K V 10 9
♣ K V 8 4 2

♠ A V 10 8 5 2
♡ 2
◇ A 8 6
♣ A D 7

გიამბობთ ერთი საკმაოდ საინტერესო ხელის შესახებ.

ეს შემთხვევა ამოვიღე შარშანდელი მსოფლიოს წემპიონატის ბიულეტენიდან N7.

სამხრეთით Jack Nayer, რომელსაც დიდი ხანი არაა რაც ბრიჯის თამაში დაუწყია. როგორც შეტყობინების ავტორი ამბობს ამის მიუხედავად იგი როგორც ვეტერანი ისე თამაშობს. ჩრდილოეთით Norm Gordon-ია, მისი პარტნიორი. აუქციონი შემდეგია. Nayer-ის 1♠ გასაგებია, მას 17 ქულა და სათულფოდ ყვავი აქვს. Gordon-ის პასუხი ნიშნავს, რომ მას ათზე მეტი ქულა აქვს და არა ნაკლებ 4 გული. E თავისი ნათქვამით "კონტრ" გამოთქვამს იმედს, რომ თუ W-ს რაღაც აქვს შეიძლება მათ აიღონ კონტრაქტი. S აკეთებს ნახტომს რითაც მიუთითებს, რომ მას მინიმუმი კი არა უფრო მეტი აქვს. N უკვე შლემზე ფიქრობს. მისი "4♣" ჯვრის ნაწილობრივ კონტროლს ნიშნავს. S-ის "4◇" აგურის კონტროლის მაჩვენებელია. N-ის "4♠" მიანიშნებს, რომ ყვავი ცუდი თულფი არ არის, მაგრამ შემდგომი მოძრაობა მასზე აღარ არის დამოკიდებული (მან შლემის ამბიცია უკვე გამოთქვა). "4უთ" შეკითხვაა და მასზე პარტნიორების შეთანხმებით "5♡" ნიშნავს ორ ტუზს ან ერთ ტუზს და თულფის K-ს. S-მა უკვე იცის, რომ ოთხივე ტუზი და თულფის K მათთანაა. "6♠" აუქციონის ლოგიკური დასასრულია.

S	W	N	E
Nayer		Gordon	
1♠	პას	2♡	კონტრ
3♠	პას	4♣	პას
4◇	პას	4♠	პას
4უთ	პას	5♡	პას
6♠	პას	პას	პას

დიდ შლემზე წასვლა სარისკოა, რადგან E-მ თავის დროზე ანიშნა, რომ მას საკმაო ქულები აქვს.

გათამაშება დაიწყო W-მ ჯვრის ათიანით.

როგორ შესრულდა კონტრაქტი?

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ